საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.

№ 31 (275)

სამშაბათი, 16 თებერვალი, 1993 წელი

ფასი 5 მანეთი.

ნუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობებს, რომ 12 თებერვლის დღეს მდინარე გუმისთაზე მშვიდად ჩაიარა, ადგილი ჰქონდა მხოლოდ უმნიშვნელო ხასიათის პოზიციურ ბრძოლებს. 20 საათისათვის კი მოწინააღმდეგე გააქტიურდა და დაიწყო ჩვენი პოზიციებისაკენ ბრძოლა, როგორც ტანკებიდან, ასევე ავტომატური იარაღით, რაზეც საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ცეცხლითვე უპასუხეს.

21 საათსა და 30 წუთზე, ჰაერში გამოჩნდა გამოუცნობი ნიშნების მქონე სამხედრო თვითმფრინავი, რომელმაც იერიში მიიტანა ამ დროს სოხუმის აკვატორიასთან ზღვაში მყოფ რუს მეზღვაურთა სამხედრო კატარღაზე. თვითმფრინავმა კატარღის მიმართულებით ისროლა 2 რაკეტა და მიიმალა გუდაუთის მიმართულებით. კატარღა არ დაზიანებულა.

13 თებერვალს ღამის 2 საათზე ბაბუშერის სანაპირო ზოლთან გამოჩნდა მოწინააღმდეგის 2 კატარღა, ისინი ცდილობდნენ ნაპირთან მიახლოებას.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სანაპირო დაცვის ნაწილებმა მოწინააღმდეგეს დაუშინეს ცეცხლი. ერთ-ერთი კატარღა დააზიანეს, რის შემდეგაც ორივე კატარღა ღია ზღვაში მიიმალა.

მოგვიანებით რადიოლოკაციურმა ძებნამ ზღვაში ერთი კატარღის მოძრაობა დააფიქსირა.

წინასწარი მონაცემებით, მეორე დაზიანებული კატარღა ჩაიძირა.

დღეს მდინარე გუმისთაზე საკმაოდ მშვიდად ჩაიარა. საბრძოლო მოქმედებას ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება ოჩამჩირის რაიონს, აქ დღის პირველ ნახევარში მოხდა მცირე მასშტაბის შეტაკებები სოფელ ბესლახუბასთან, ფოქვეშთან და ცხენისწყალთან. დაიჭრა რამდენიმე ჩვენი მეომარი. წინასწარი მონაცემებით მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულის სახით დაკარგა სულ ცოტა ხუთი მებრძოლი.

14 თებერვალს ღამით მოწინააღმდეგემ ჩვენს პოზიციებს დაუშინა ცეცხლი. ისროდნენ ტანკები და სხვა საბრძოლო საშუალებები, საქართველოს შეიარაღებული ძალების საპასუხო საარტილერიო ცეცხლის შედეგად მოსპობილი იქნა მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილი, საიდანაც ისროდნენ მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევით და ორი სატრანსპორტო საშუალებით.

ამის შემდეგ მოწინააღმდეგემ აქტიური ბრძოლა შეწყვიტა.

ოჩამჩირის რაიონში ღამით საბრძოლო მოქმედება არ ყოფილა. [illegible]

იოსებ ბობიძე.

ამ დღეებში

გამომცემლობა „საქართველოს რესპუბლიკა" და საინფორმაციო კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ედუარდ შევარდნაძე: აფხაზურ კონფლიქტში გაჩნდა მისი მშვიდობიანი გზით მოგვარების ახალი მომენტები, რომლებიც არ გამორიცხავენ ქართულ-აფხაზურ დიალოგსაც

15 თებერვლის რადიოინტერვიუ

—ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ამ დღეებში მიღებული ბრძანება, რომელიც სოხუმისა და ოჩამჩირის ზონის დაცვის ღონისძიებებს ეხება, შესრულდეს, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში, რომელიც მან ორშაბათ დილით მისცა საქართველოს რადიოს. — ჩვენ გვაქვს იმის საშუალებები, რომ საზოგადოებაში არსებული ეჭვები სოხუმთან დაკავშირებით გამოირიცხოს,— თქვა მან, და მე მადლობელი ვარ იმ რაზმებისა, იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც ამ ზონაში გაემართნენ. ეს საკმაოდ ძლიერი ძალაა და მინდა დავარწმუნო ყველა, განსაკუთრებით სოხუმელები, რომ მშვიდად უნდა იყვნენ. თუმცა, უნდა ვთქვა, განხორციელებულ ღონისძიებებს საკმარისად არ მივიჩნევთ და ამ მხრივ მუშაობა გრძელდება. ეს საკითხები გუშინ განვიხილეთ თავდაცვის სამინისტროში და იმ დასკვნამდე მივედით, რომ დამატებითი ზომები მიღებული უნდა იქნეს. ეს იყო მეტად ნაყოფიერი, სასარგებლო და საჭირო შეხვედრა და საუბარი გვქონდა როგორც აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებზე, ისე საერთოდ ჩვენი სამხედრო მშენებლობის დაჩქარების სხვა გადაუდებელ ღონისძიებებზეც.

შეეხო რა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების გზებს, სახელმწიფოს მეთაურმა გაიხსენა სატელევიზიო პროგრამაში „საღამო მშვიდობისა" ერთ-ერთი ჩეჩენი ბოევიკის სიტყვები: „ქართველებს რომ სდომოდათ, ამ ომს აქამდე მოიგებდნენო", და, დასძინა, რომ ეს ახლაც შესაძლებელია, მაგრამ ეს ხომ ორივე მხარეს უდიდესი მსხვერპლის ფასად დაუჯდებოდა და ორი მცირერიცხოვანი ხალხის უარესი ტრაგედია იქნებოდა, ამიტომ, ამ საკითხის ასეთნაირად დაყენება და ახსნა არ არის სწორი, — თქვა მან — მაგრამ ასეთი პასუხის შემდეგ, ბუნებრივია, დაისმის კითხვა, არის თუ არა შესაძლებელი მორიგება და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგება? ხაზგასმით მინდა ვთქვა, — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა, — რომ გაგრის მოვლენების შემდეგ, როცა სეპარატისტებმა და მათმა მხარდამჭერებმა პირობა გატეხეს და მოლაპარაკებას უღალატეს, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების შანსი, ცხადია, მინიმუმამდე დავიდა, მაგრამ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებების მიღებამ კვლავ წარმოაჩინა მშვიდობიანი გზით კონფლიქტის მოგვარების ახალი მომენტები, რომლებიც არ გამორიცხავენ ქართულ-აფხაზურ დიალოგსაც. კონფლიქტის მოწესრიგების ასეთ ვარიანტს, ცხადია, მე უპირატესობას ვანიჭებ, მაგრამ ბევრი რამ გარემოებრივ ფაქტორებზე იქნება დამოკიდებული.

სოხუმთან დაკავშირებით ახლა სხვადასხვა ვერსიებს ავრცელებენ, —თქვა სახელმწიფოს მეთაურმა, — აფხაზეთის ომის ღირსეულად დამთავრების საქმეს ჩემი გადადგომა რომ შველოდეს, ამას ახლავე განვაცხადებდი, მაგრამ ეს ხომ გულუბრყვილოთა და ბრიყვთა ნაზრევია და დაძაბულ ხალხს ასეთი მონაჩმორი რა სარგებლობას მოუტანს. მე ვერ დავიჯერებ, რომ ჩვენს რომელიმე ეშელონში იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ვითომდა სოხუმთან დაკავშირებულ რაღაც აქციას ხელს უწყობენ. ვიმეორებ, ეს ბრიყვთა ნაზრევია და მეტი არაფერი.

სახელმწიფოს მეთაური კვლავ დაუბრუნდა დედაქალაქში წესრიგის დამყარების აუცილებლობას და თქვა, რომ თბილისში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ გამოცემული მისი ბრძანების შემდეგ განვლილი ოთხი დღის მანძილზე ზოგი რამ უკვე გაკეთდა. ახლა ყოველდღიურად ტარდება შტაბის სხდომები, რომლის მუშაობაში პრემიერ-მინისტრიც მონაწილეობს. ერთი სიტყვით, ყველაფერი მზად არის იმისათვის, რომ დავიწყოთ სერიოზული მუშაობა დედაქალაქში წესრიგის დასამყარებლად. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანაა და ამიტომაც სწორედ ბრძანებით გაფორმდა მისი გადაჭრის ღონისძიებები და არა თხოვნის სახით, როგორც ვაკეთებთ ხოლმე.

შემდეგ საუბარი შეეხო საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და ჩეჩნეთის პრეზიდენტის შეხვედრას ბაქოში. მე მივესალმები ჯოხარ დუდაევის ინიციატივას, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — ეს სასარგებლო შეხვედრა იყო იმ გაგებით, რომელსაც ჩვენ დღეს კავკასიის ფაქტორს ვუწოდებთ. მალე ჩვენი დიალოგი შედგება სომხეთთან. ან მე ჩავალ ერევანში, ან ბატონი ტერ-პეტროსიანი გვესტუმრება. ჩვენ ახლა უნდა ვეცადოთ აქცენტი სამთა შეხვედრაზე იქნეს გადატანილი. ამასთან, ამ დიალოგში საერთოდ შეიძლება ბატონ დუდაევის და კავკასიის სხვა ლიდერების მონაწილეობაც.

რაკი კავკასიის ფაქტორს შევეხე, მინდა ვთქვა, რომ ახლა ამ იდეის დეფორმირებული გაგება ხდება, — ხაზგასმით აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, — სამწუხაროდ, ეს გაგება იმ საერთო მოვლენებიდან არის ამოვარდნილი, რომლებიც მსოფლიოში მიმდინარეობს. პირდაპირ აყენებენ საკითხს: ან კავკასიური სახლი უნდა იყოს, ან არაფერი. ასე არ შეიძლება. კავკასია ვერ გამოეთიშება ევროპულ პროცესებს, ამიტომ ზემოთმოყვანილი აზრი გულუბრყვილო მსჯელობას ჰგავს. ახლა შავი ზღვის აუზის ქვეყნების ალიანსიც ხდება. ესეც ცალკე პროცესია, მაგრამ ევროპის და მსოფლიო პროცესებიდან იზოლირებული როდია, მათი ნაწილია. ჩვენს პრობლემებსაც ასეთი გაგებით უნდა შევხედოთ. თუკი კავკასია ცალკე ჩაიკეტება, ამან შეიძლება მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანოს. ჩვენ ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი კავკასიის ფაქტორის ამოქმედების იდეას, მაგრამ იგი თანამედროვე სტანდარტების დონეზე უნდა ავიყვანოთ და უკუვაგდოთ ის პრიმიტიული გაგება, როგორც ეს ზოგიერთს ესმის, — თქვა მან.

მდგომარეობის დღევანდელი გამწვავება საქართველოში შემთხვევითი არ არის, — განაგრძო ედუარდ შევარდნაძემ, — რეაქციული ძალები ყოველთვის ადვილად პოულობენ საერთო ენას. რუსეთშიც ასეა. მაგრამ განსხვავება ის არის, რომ რუსეთში მართლაც ძლიერია ეს რეაქციული ძალები, ჩვენთან კი 11 ოქტომბრის არჩევანმა მოპირისპირე მხარეს დასაყრდენი გამოაცალა და ეს პროცესი შეუქცევადი გახადა. ამიტომ ამ არჩევანს არც აქვს ალტერნატივა. ის, რაც 11 ოქტომბრის არჩევნების წინ ითქვა, მისი ალტერნატივის წარმოდგენა ვერავინ ვერ შესძლო, ხოლო ის, რაც წარმოდგენილია, იმდენად მარტივია, რომ ლაპარაკიც არ ღირს. მე არ მინდა ოპონენტებს ვაწყენინო, მაგრამ როცა ექსტრემისტები გამოჩნდებიან არენაზე, მათს გასაგონად, ალბათ, გამოპრილია გამოთქმა — „ძაღლი ყეფს, ქარავანი კი მიდის". 11 ოქტომბრის ქარავანი წინ მიიწევს და მას სათავეში უდგანან პროგრესული ძალები, რომლებიც ისე გადაწყვეტენ საქართველოს ბედს, როგორზეც თაობებს უოცნებიათ.

შეეხო რა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების შედეგებს, სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტში ამ მოლაპარაკების შედეგების წარდგენა იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება და დამთავრდება მოლაპარაკების ახალი რაუნდი მოსკოვში. ბოლო მომენტში, როცა შეხვედრა გაიმართება სახელმწიფო მეთაურთა დონეზე, პარლამენტის აზრი და დახმარება აუცილებელი იქნება. ისე კი, როცა რუსეთთან ვლაპარაკობდი, პრორუსული მოღვაწე ვიყავი, როცა თურქეთთან ხელშეკრულება დავდეთ — პროთურქული, ხოლო როცა ირანში ჩავედი, მაშინაც იგივე ითქვა და ალბათ, ასე გაგრძელდება, მაგრამ მე პროევროპული მოღვაწეც გახლავართ, რუსეთის ძალები კი პროამერიკულ მოღვაწეობასაც მწამებენ... სინამდვილეში კი მინდა ვთქვა, რომ მე ქართველი მოღვაწე ვარ და ვთვლი, რომ ჩემი პოლიტიკის დასაყრდენი ძალები შეიძლება ყველგან იყვნენ — რუსეთშიც, თურქეთშიც, ევროპაშიც და ამერიკაშიც...

ყველამ უნდა იცოდეს, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — რომ სახელმწიფოს მეთაურს დღეს აქვს რეალური ძალაუფლება, მაგრამ ჩვენ იმას უნდა მივაქციოთ მთავარი ყურადღება, თუ რა შეუძლია მას და რა არა. სასწაულები არ არსებობს და არც ხდება. ჩვენ უკვე დავანგრიეთ ყველაფერი, რაც გაგვაჩნდა, გავძარცვეთ, რაც კი გასაძარცვი იყო და ასეთ პირობებში ყველაფრის გაკეთება, მე მგონი, შეუძლებელია. მე რეალისტი გახლავართ. ამიტომ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ ის, რაც გაგვაჩნია და რისი შესაძლებლობაც გვაქვს. მთავარია, დავამყაროთ წესრიგი, თავიდან ავიცილოთ შიმშილი და არ დავუშვათ სოციალური აფეთქება; უნდა გამოვაცოცხლოთ ეკონომიკა და ამის ნიშნები უკვე არის — შარშანდელ იანვართან შედარებით პროცენტული ზრდა იმედის მომცემია.

შემდეგ საუბარი შეეხო მარნეულში სომხეთისაკენ მიმავალი გაზსადენის აფეთქების მორიგ ტერორისტულ ფაქტს. მე მგონი, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა, — ეს შეგნებული მოქმედებაა და არ უნდა იყოს შემთხვევითი ამბავი. ვიღაცას ძალიან უნდა, რომ აქ დაძაბულობის კერა წარმოიქმნას, გართულდეს ვითარება ორ ხალხს შორის, მაგრამ ჩვენ საქმეს აქამდე არ მივიყვანთ. ამის თავდებია ჩვენი საინტერესო შეხვედრა ბატონ ელჩიბეისთან. ამ რეგიონში არის პრობლემები, მაგრამ იმის შესაძლებლობაც არის, რომ ვითარება გაჯანსაღდეს. ხალხს იქაც ძალიან უჭირს. ამ მდიდარ რაიონებშიც ყველაფერი მოიშალა და იქაურობასაც ზრუნვა და ყურადღება სჭირდება, რომ გაუგებრობები თავიდან ავიცილოთ.

ჩვენ დავანგრიეთ ჩვენი ურთიერთნდობა და ამას თავისი შედეგი მოაქვს, დღეს ყველას უჭირს, მთელ საქართველოს უჭირს და ქვეყნის გადარჩენის ბედი სასწორზეა. ამიტომ ამ უდიდესმა საზრუნავმა, ამ მიზანმა უნდა გაგვაერთიანოს. სამწუხაროა რომ, არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც კვლავ ეჭვის ქვეშ აყენებენ ამ ურთიერთნდობის აღდგენას და ამით საერთო იდეას ეწინააღმდეგებიან... რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით: მხოლოდ ერთი რამ, რომ დღეს ჩვენი ქვეყნის ყველა პოლიტიკური მოძრაობის, ყველა მოქალაქის ვალია დაძლიოს პირადი ინტერესები და ხელი შეუწყოს ამ ურთიერთნდობის დამკვიდრებას. თუ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ და იმ ეჭვებს არ მოვხსნით, რომლებიც ხალხში დაითესა, შესაძლოა ყველაფერი ძალიან ცუდად დამთავრდეს. ამიტომ მიმაჩნია დანგრეული ურთიერთნდობის აღდგენა დღევანდელ უპირველეს ამოცანად და ჩვენ ეს ამოცანა უნდა გადავწყვიტოთ.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

შეიქმნას აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისათვის წინადადებების შემმუშავებელი დროებითი კომისია

1. „რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების წარმართვისა და აფხაზეთში კონფლიქტის დამთავრების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 4 თებერვლის დადგენილების მე-2 პუნქტის საფუძველზე შეიქმნას აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისათვის წინადადებების შემმუშავებელი დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე

ა. კავსაძე — საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე.

კომისიის წევრები:

გ. ანჩაბაძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი.

რ. ეშბა — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრი, აფხაზეთის ხსნის კომიტეტის წევრი.

მ. ვაჩაძე — საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს საინფორმაციო განყოფილების გამგე.

ზ. კალანდია — საქართველოს პარლამენტის წევრი.

ა. კამკამიძე — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე.

პ. მამრაძე — საქართველოს პარლამენტის წევრი.

ა. მარშანია — საქართველოს პარლამენტის წევრი.

ი. მაჭავარიანი — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმძღვანელის მოადგილე.

თ. ნადარეიშვილი — საქართველოს პარლამენტის წევრი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

გ. ჟორჟოლიანი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრის დირექტორი.

გ. როგავა — საქართველოს პარლამენტის წევრი.

დ. უსუფაშვილი — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის იურიდიული განყოფილების სახელმწიფო მრჩეველი.

ნ. ჭავჭავაძე — საქართველოს პარლამენტის წევრი, აფხაზეთის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

2. დაევალოს კომისიას ერთი კვირის ვადაში შეიმუშაოს წინადადებები აფხაზეთის კონფლიქტის დროულად და ღირსეულად დამთავრებისათვის და წარმოუდგინოს საქართველოს პარლამენტს.

ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1993 წლის 10 თებერვალი.

ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის პრეზიდიუმის

დადგენილება

საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ნიმუშების მოძიების, გამოვლენის და საქართველოში დაბრუნების კომისიის შექმნის შესახებ

ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტი აღნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის წარსულის შემეცნებისა და მომავლის განვითარებისათვის, ეროვნული ღირსების ამაღლებისა და მომავალი თაობის აღზრდისათვის ფასდაუდებელია იმ სიძველეთა და რეგალიათა მნიშვნელობა, რომლებიც მრავალი საუკუნის მანძილზე გაიზიდა საქართველოდან და დღეს სხვა ქვეყნების მუზეუმებსა, არქივსაცავებსა, თუ კერძო კოლექციებშია დაცული.

ცნობილია, ქართველი ერის არაერთი მცდელობა საქართველოს სულიერი და მატერიალური კულტურის ნიმუშების დაბრუნებისა რუსეთიდან. ასე მაგალითად, 1922 წლის 29 აგვისტოს, სრულიად რუსეთის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო 57 გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა: „ყველა ქართული სიძველე და რეგალია, რომელიც იმყოფება რსფსრ-ს მუზეუმებსა და საცავებში განათლების სახალხო კომისარიატის და ცენტრალური არქივის მიერ ქართული წარმოშობის დადასტურების შემთხვევაში, გადაეცეს საქართველოს სსრ-ს".

ამ საქმეს დიდი ენერგია შეალიეს გამოჩენილმა ქართველმა სწავლულებმა. მათ შეძლეს 1923-1925 წლებში ქართული განძის ერთი ნაწილის (14 ვაგონი) სამშობლოსათვის დაბრუნება, მაგრამ შექმნილი დაბრკოლებების გამო, ეს კარგად დაწყებული საქმე შეჩერდა და „საქართველოს სიძველეთა დამაბრუნებელი კომისია" გაუქმდა.

კომიტეტი აღნიშნავს, რომ ეროვნული განძის დატაცება, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება. სამუზეუმო, საეკლესიო და ეთნოგრაფიული ნივთები, მხატვრული ნამუშევრები დიდი რაოდენობით გადის ჩვენი ქვეყნიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტი **ადგენს:**

1. ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტთან შეიქმნას საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ნიმუშების მოძიების, გამოვლენის და საქართველოში დაბრუნების კომისია;
2. დაამტკიცოს საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ნიმუშების მოძიების, გამოვლენის და საქართველოში დაბრუნების კომისიის დებულება და სამუშაო გეგმა;
3. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის წევრს, სახელმწიფოს მეთაურის მთავარ სახელმწიფო მრჩეველს ვალერი ასათიანს.

ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის თავმჯდომარე

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტმა საქმიანობის უზრუნველყოფის, პარლამენტის ხელმძღვანელობის, მუდმივი კომისიებისა და ფრაქციების, პარლამენტის წევრებისათვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნის მიზნით, 1993 წლის 9 თებერვალს მიიღო დადგენილება „საქართველოს პარლამენტის საქმიანობის სამეურნეო უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ".

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დაევალა, საქართველოს პარლამენტს ბალანსიდან ბალანსზე გადასცეს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობა, ამასთან შენობის მიღება-ჩაბარება უნდა განხორციელდეს აღდგენით-სამშენებლო სამუშაოთა დამთავრების შემდეგ. ამ სამუშაოთა მიმდინარეობაზე დაწესდება პარლამენტის წევრებისა და პარლამენტის აპარატის სისტემატური კონტროლი.

დადგენილებით აღიკვეთა საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციულ შენობაში სხვა სახელმწიფო ორგანოსა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის განთავსება.

პარლამენტის აპარატში შეიქმნა სამეურნეო სამსახური, ავტოგარაჟი, ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დაევალა საქართველოს პარლამენტს გადასცეს ხოშარაულის ქუჩაზე მდებარე თავისი ავტოგარაჟი სათანადო ინვენტარით და მოწყობილობით, სატრანსპორტო საშუალებანი, სათადარიგო ნაწილები.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დაევალა, შეუმციროს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს პარლამენტის შენობის მოვლა-პატრონობის, დაცვის, ავტოტრანსპორტით მომსახურების ხარჯები; ამასთან, გამოყოს სათანადო სახსრები საქართველოს პარლამენტის სამეურნეო უზრუნველყოფისათვის, 1993 წლის მეორე და შემდგომი კვარტალების სახელმწიფო ბიუჯეტში გაითვალისწინოს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის შესანახი სათანადო ხარჯები.

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს აგრეთვე, დაევალა უზრუნველყოს მისდამი დაქვემდებარებულ სტამბაში საქართველოს პარლამენტის უწყებებისა და სხვა მასალების ოპერატიულად დაბეჭდვა.

ქ. თბილისის მერიას დაევალა დააჩქაროს სასტუმრო „საქართველოს" სარემონტო სამუშაოების დამთავრება, რის შემდეგაც საქართველოს პარლამენტს გამოეყოფა საჭირო რაოდენობის ნომრები.

დამნაშავეობის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა

საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბრძანებით თბილისში ხორციელდება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში მინისტრის ბრძანებით შედგა ოპერატიული მოქმედების გეგმა. იგი ითვალისწინებს ქალაქის შემოსასვლელების გადაკეტვას, ქუჩებში პიკეტების მოწყობას, დღე-ღამის განმავლობაში პატრულირებას.

შექმნილია ოპერატიული ღონისძიებების ხელმძღვანელობის შტაბი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით სალარიძე.

შტაბები შეიქმნა აგრეთვე ქალაქის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებებში, და მათში გაერთიანებული არიან რესპუბლიკის პროკურატურის, რაიონების გამგეობების ხელმძღვანელები და სამხედრო უწყების წარმომადგენელი.

თბილისის შინაგან საქმეთა სამინისტროს გარნიზონს დამატებით გამოეყო ძალები სამინისტროს აპარატიდან, საგზაო და ტრანსპორტის პოლიციებიდან, შინაგანი ჯარებიდან და პოლიციის უმაღლესი სკოლიდან. ამ ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებს ორი ათასამდე პოლიციელი.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელობისათვის ქალაქის მერიასთან შექმნილია საკოორდინაციო შტაბი.

გულიკო მარკოზაშვილი

ნომერში

- ნუ დავკარგავთ დროის შეგრძნებას! — 2
- არის კი შანსი გადარჩენის? — 3-4

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

„საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის — ქალაქ თბილისის მმართველობითი ორგანოების უფლებამოსილებათა შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 19 დეკემბრის ბრძანებულებით დამტკიცებულ დროებით დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის — ქალაქ თბილისის მმართველობითი ორგანოების უფლებამოსილებათა შესახებ" დებულების პირველი პუნქტის მეოთხე ნაწილის მე-11 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„— ქალაქ თბილისის მერიის ბრძანებათა დამტკიცება მართვის საქალაქო რგოლების ხელმძღვანელთა თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ".

2. დებულების პირველი პუნქტის მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისის მერის განკარგულებები და ბრძანებულებანი შეიძლება გაუქმებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ან სასამართლოს მიერ".

3. დებულების მე-3 პუნქტის მეცხრე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„— ქალაქ თბილისის რაიონებში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოა რაიონის გამგეობა, რომელსაც ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარე. რაიონის გამგეობის თავმჯდომარეს ნიშნავს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით. გამგეობის შემადგენლობას და მის რიცხოვნობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის კაბინეტი შესაბამისი გამგეობის თავმჯდომარის წარდგინებით".

ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1993 წლის 15 თებერვალი.

შეხვედრა სახელმწიფოს მეთაურთან

18 თებერვალს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური, რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას, კოლეგიის წევრებს, ცალკეული სამსახურების უფროსებს.

შეხვედრაზე, რომელმაც მთელი დღე გასტანა, იმ გადაუდებელ ამოცანებთან ერთად, რაც ასე მწვავედ დგას დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე, საუბარი იყო საქართველოს ერთიანი შეიარაღებული ძალების მშენებლობის დღევანდელ მდგომარეობასა და ამ პროცესის დაჩქარების გზებზე.

შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

ვატიკანის დესპანი საქართველოში

14 თებერვალს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ვატიკანის დესპანი, ამიერკავკასიის ქვეყნების ეკლესიათა განყოფილების გამგე მონსენიორ კლაუდიო გუჯეროტი. სტუმარმა რომის პაპის პავლე იოანე მეორის ზეპირი წერილი გადასცა. პაპი უზენაესს მუდამ შესთხოვს საქართველოში დამკვიდრდეს მშვიდობა, კეთილდღეობა. ვატიკანმა უკვე განსაზღვრა ჩვენს ქვეყანაში თავისი დიპლომატიური წარმომადგენლის კანდიდატურა, დარჩა მხოლოდ წმინდა ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგება.

გაიმართა საუბარი, რომლის დროს შეეხნენ საქართველოში მსოფლიო კათოლიკური ეკლესიის მეთაურის შესაძლო ვიზიტის, რესპუბლიკაში ხანდაზმულთა სახლის, პოლიკლინიკის საქველმოქმედო კომპლექსის პროექტის რეალიზაციაში თანამშრომლობის საკითხებს.

ქრონიკა

საქართველოს მთავრობის მეთაურის განკარგულებით საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური და, სამრეწველო კომისიის შემადგენლობაში შეიყვანეს:

ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი არჩილ კოსტავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი როინ მეტრეველი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი გოჩა ჩოგოვაძე, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისარის" გენერალური დირექტორი ნოდარ ზელაშვილი.

მეომრებს – თბილი ტანსაცმელი

14 თებერვალს საქართველოს საბაჟო კომიტეტის თანამშრომელთა ჯგუფი ირაკლი ქადაგიშვილის ხელმძღვანელობით სოხუმში ჩავიდა. აქ ისინი შეხვდნენ სამხედრო ხელმძღვანელობას, სოხუმის მერს გურამ გაბესკირიას, მეომრებს და გადასცეს მათ სამი მილიონი მანეთის თბილი ტანსაცმელი და სხვადასხვა პროდუქტი.

სინგაპურის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ

სინგაპურის რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობები, სურვილი აქვთ რა განამტკიცონ და განავითარონ მეგობრული ურთიერთობა, შეთანხმდნენ დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის, რომელიც ძალაში შედის 1993 წლის 16 თებერვლიდან.

ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს მომავალი

თავდაცვის ფონდს შეეწივნენ

- **ტრესტი** „გორიგაზის" კოლექტივმა (მმართველი რეზო აბრამაშვილი) 50 000 მანეთი გადარიცხა. მუშა-მოსამსახურეებმა კი ხელფასის 1 პროცენტი 10 000 მანეთი. ამასთან გადაწყვიტეს, რომ ამ ოდენობის თანხა ხელფასის ფონდიდან წლის ბოლომდე ყოველთვიურად გაიღონ.
- **ზესტაფონის** ფეროშენადნობთა ქარხანამ თავდაცვის ფონდში 5157 ათასი მანეთი გადარიცხა, კაბელების ქარხანამ კი ერთი მილიონი.

ელემენტების ქარხნის კოლექტივმა 600 ათასი მანეთის პროდუქცია გაუგზავნა ეროვნული გვარდიის შტაბს, ხოლო ასი ათასი მანეთი ავღანელთა კავშირს.

- **თელავის** საბინაო-სამშენებლო კოოპერატივ „ციცი"-ს გამგეობამ თავდაცვის ფონდში გადარიცხა 100 000 მანეთი.
- **ლანჩხუთის** რაიონის სოფელ ლესის ომისა და შრომის ვეტერანთა სახელობის კოოპერატივ „ჩუქურთმას" თავმჯდომარემ, ომისა და შრომის ვეტერანმა მიხეილ კუნჭულიამ, საქართველოს თავდაცვის ფონდში პირადი დანაზოგიდან ათი ათასი მანეთი შეიტანა.

მოვლენათა კვალდაკვალ

მკვდრებმა დამარხონ თავიანთი მკვდრები

ლაზარე ზაქარიაძე.

„დავით ალმაშენებელი ნათლად ჰვრეტდა, რომ ქვეყნის თავზე გარდმომავალი მოვლენების უღელტეხილზე იდგა მისი ერი, რომ ამ მოვლენებიდან გამოიკვეთა ყველაზე მნიშვნელოვანი, კრებსითი, შინაარსის მოვლენა, ისტორიული საქართველოს უმაღლესი ჟამი. დარეკა ამ ჟამმა და ერმაც იგრძნო მთელი არსებით მისი დადგომა. არსებობის შინაარსი და მიმართულება, მისგან მოხდენილი და მის გარშემო დატრიალებული საუკუნოვანი მოვლენები თითქოს ამ ჟამს ამზადებდნენ. ამზადებდნენ ერთის მხრივ საქართველოს შინაგან სრულყოფას, მისი სულიერი და ფიზიკური ძალების განსაკუთრებულ მდგომარეობას, ხოლო, მეორეს მხრივ, რაოდენ უსაზღვროც არ უნდა ჰქონოდა მშვიდობიანი ცხოვრების წყურვილი, მაინც გარდაუვალივით შემზადდა გენერალურ ბრძოლაში მტრულ სამყაროსთან შეხვედრა".

ჯანსუღ ღვინჯილია

ქართული პოლიტიკური აზროვნების მთავარი მასალა ადამიანია. ისევე როგორც ადამიანია მთავარი მასალა ადამიანური მოღვაწეობის სხვა სფეროებში — მეცნიერებაში, ხელოვნებაში. ადამიანია არქიტექტორი დროისა. ის, რასაც ჩვენ დროს ვუწოდებთ, ეპოქას, ადამიანური აზროვნების მინერალებისაგან შედგება. ამიტომაც თუ ვიტყვით მღვრიეა ჩვენი ჟამი, უნდა დავიწყოთ იქიდან, რომ მღვრიენი ვართ თავად ჩვენ. მღვრიეა ჩვენი ნაფიქრი და ნააზრევი. ჩვენს მიერ ნაგრძნობი და განცდილი სამყაროც მღვრიეა, სული სამყაროსი. სხვის თვალში ბეწვს ვხედავთ და საკუთარში დირეს ვერა. ჩვენ ვერა, მაგრამ ღმერთი ხომ ხედავს. ამიტომაც გვიმკაცრდება განგება.

მოდით, განგების გამკაცრებას, ენას განგებისა, საკუთარი თავიდან შევხედოთ, საკუთარი სულის ფანჯრებიდან, თორემ ადვილია განქიქება სხვათა და სხვათა. რაში დავუშვით მთავარი შეცდომა? საიდან დაიწყო ის უბედურება, რომელმაც ქართველს ქართველის სისხლი დაალვრევინა, ქართველს ქართველი შეაძულა. მოვრჩეთ წარსულზე წუწუნს, წარსულის მღვრიე ლაბირინთებში კირკიტს და ძიებას. დღევანდელობის გადასახედიდან შევხედოთ სინამდვილეს. მკაცრად შევხედოთ, რამეთუ მკაცრია მზერაც სინამდვილისა.

ქართული სახელმწიფოებრიობა ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფება. ჩანასახს კიდევ კოსმეტიკა არ უხდება. იმისათვის, რომ ჩანასახი განვითარდეს და ნაყოფად იქცეს, სწორი გზით უნდა წარიმართოს მისი სრულყოფა, მართალი გზით. სად არის ეს სიმართლე?

ეს სიმართლე უპირველესად იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ერთობა არ გაგვაჩნია, ერთიანობა. ერთიანობის მოტანა კი მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ფიქრის, სახელმწიფოებრივი აზროვნების გაბატონებას შეუძლია, ანუ სახელმწიფო გონების დიქტატს. სახელმწიფო გონების დიქტატი კანონის უზენაესობის აღიარებიდან იწყება, რომელიც უწინარეს ყოვლისა სამხედრო, სამართალდამცავი და საინფორმაციო ორგანოების სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე დგომას გულისხმობს უცილოდ. დემოკრატია ანარქია არ არის, დემოკრატია კანონის უზენაესობაა პლუს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება. ჩვენთან ჯერჯერობით არც ერთია და არც მეორე. ასე დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს. დღევანდელობა თუ მოითმენს, მომავალი ვერა. ეს ერთი.

ახლა მეორე: ძალიან ბევრს, როგორც მაღალ, ასევე დაბალ ეშელონებში ჯერ კიდევ ბოლომდე გაცნობიერებული არა აქვთ მთელი პასუხისმგებლობა და სირთულე ისტორიული მომენტისა. ეს უღელტეხილია. უღელტეხილზე კი ყველა ხიფათი და საშიშროება ასჯერ მატულობს. დავუკვირდეთ: პერმანენტული ომი, კონფლიქტების ინსპირირება, რევანშისტული განწყობილება, კუთხური და ვიწროპარტიული სეპარატიზმი, ეკონომიკური კრიზისი, ინფლაცია, სახელმწიფოს პოლიტიკის იგნორირება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, ფარული და აშკარა ინფორმაციული ომი, და ბოლოს უკიდურესი გამძვინვარება საქართველოს საზღვრებს გარეთ მდებარე რეაქციული ძალებისა, რომლებიც ამ ბოროტი ორკესტრის მთავარ დირიჟორებად გვევლინებიან — აი, ის სპექტრი, რომელიც თავისი არსით, მიზნითა და მნიშვნელობით ერთია — ახალქართული სახელმწიფოს რღვევის მოსურნე ძალთა ნებსით თუ უნებლიე, ცნობიერი, თუ გაუცნობიერებელი კონსოლიდაცია. ახლა ყველამ ვიცნოთ საკუთარი [illegible] საკუთარი ფუნქცია ამ ორკესტრში, ყველამ საკუთარ სულში ჩავიხედოთ.

მომავლიდან ვიტყვი: ქართულ სახელმწიფოებრიობას დაღუპვა არ უწერია, დაღუპვა უწერიათ იმ ძალებს, რომლებიც ამ სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ არიან მიმართულნი. უფრო, უფრო მკაცრად ჩავხედოთ სინამდვილეს თვალებში და ვთქვათ ასე: ვინაც „მე"-სგან აზროვნებს, სუბიექტური შეგრძნება-განცდებისგან, წყენისა და ბოღმის მარწუხებისგან ვინაც ვერ გათავისუფლებულა, ვერ იქნება იგი საქართველოს ინტერესების მცველი, ვერც საქართველოში და ვერც საქართველოს ფარგლებს გარეთ, რამეთუ საქართველოსათვის იგი სულიერად მკვდარია. მკვდარზე კი მაცხოვარმა ბრძანა: მკვდრებმა დამარხონ თავისი მკვდრები. არ არის ეს შემთხვევით ნათქვამი. არც სიმკაცრე ახსოვს ასეთი კაცობრიობას — მართალი სიმკაცრე. არც ალმაშენებელივით მკაცრი მეფე ახსოვს საქართველოს ისტორიას, მაგრამ ამ მისი სიმკაცრე დედის რძესავით შეირგო და შეისისხლხორცა ქართულმა სახელმწიფომ. რამეთუ მეფეთ-მეფეს ჰქონდა სიმართლე, უფლებამოსილება ზეცისაგან.

დროის ბეჭედი ასეთია: ყველანი ვამბობთ, დაცემულნი ვართ, მერე ამ დაცემით სპეკულაციას ვეწევით და ერთმანეთს ლაფსა და ტალახს ვესვრით, აქაოდა შენი ბრალიაო ჩვენი დაცემა. იქნებ საკუთარ სულში ჩაგვეხედა ჯერ და საკუთარი თავისთვის გვესროლა ტალახი. იმათაც, ვინაც პოლიტიკოსობა დაიბრალეს, იმათაც, ვისაც საკუთარი მუცლის გარდა არავინ და არაფერი ახსოვთ, იმათაც, თუნდაც, ვისაც სულ ფეხზე ჰკიდია საქართველოს ბედი, იღბალი. ასეთები ხომ ბევრნი არიან ჩვენს უბედურ საქართველოში. დაცემულნი ვართ, თანაც სათითაოდ ყველა მართალნი, ამაშია ჩვენი უბედურება. მაცხოვარმა, უცოდველი ვინაც არისო, პირველმა იმან ესროლოსო მეძავს ქვა. შერცხვა სუყველას. მიატოვეს ის უბედური. დღეს რას ვიზამდით? სამწუხაროდ, სახელმწიფო სახელმწიფოა და სახარება ძნელად ცხადდება სახელმწიფოს პლასტებში. სახარება საკუთარ სულში უნდა ვიპოვოთ ყველამ. რაც შეეხება სახელმწიფოს, მისი „სახარება" კანონია, კანონი, რომელსაც უპირველესად უმაღლესი ეშელონები უნდა ასრულებდნენ ზედმიწევნით. საუბედუროდ ამისგანაც შორს ვდგავართ. უფრო მეტსაც ვიტყვი. მთავარი უბედურება დღევანდელი საქართველოსი ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ავთვისებიანი სიმსივნესავით ჩაბუდებული კორუფციაა, რომელიც მეტასტაზებად ვითარდება მთელს სახელმწიფო ორგანიზმში. პოლიტიკური ინტრიგებიც ამ მეტასტაზებით იკვებებიან მეტნაკლებად. ალმაშენებელმა ტყუილად კი არ დაიწყო ზემოდან. ვინ-ვინ და, მან კი იცოდა სახელმწიფოს ავან-ჩავანი. ისევ მომავლიდან ვიტყვი: ასეთი ადამიანებიც მკვდრები არიან მომავალი საქართველოსათვის, და, ასეთ ადამიანებსაც თავისი მკვდრები დამარხავენ. სიმდიდრემ არ მოგვატყუოს, არც სიძლიერემ ამა ქვეყნის ცრუ ძლიერთა — ჟამი ჟამია, ვერავინ გათავისუფლებულა დროის ტვიფარისაგან, რამეთუ დრონი მეფობენ და არა მეფენი, არს ჟამი ქვათა გროვებისა და ქვათა სროლისაც ალბათ, ნუ დავკარგავთ დროის შეგრძნებას.

კიდევ ერთი უბედურება საქართველოსი. ისტორიული უბედურება: განყოფა. ამ უბედურებით იქსოვებოდა ისტორია ჩვენი ქვეყნისა. აქაც უნდა გაირჩეს თეთრი და შავი ერთმანეთისაგან. ვისაც საქართველოს დაყოფა ელანდება, საქართველოს განყოფა, იმათ შევახსენებ: მსოფლიოს წესრიგი ინტეგრაციას ელტვის და არა დიფერენციაციას. არც ერთი დიდი სახელმწიფოს ინტერესში არ ზის საქართველოს დაქუცმაცება, თუნდაც მისი გეოპოლიტიკური პორტრეტის გამო და თუნდაც იმის გამო, რომ საქართველო თავისებური სტრატეგიული წყალგამყოფია, ბუფერული ზონა, დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს, სამუსლიმანოსა და საქრისტიანოს, ევროპასა და აზიას შორის. რაც შეეხება რუსული იმპერიის აღდგენის მოსურნე რეაქციულ წრეებს, მათი დამარცხება ისტორიული გარდუვალობაა და ნურავინ აჰყვება მათ ბოდვით ილუზიებს. ჟამი დადგა ისეთი, თვით ირანიც და თურქეთიც, ჩვენი მუსლიმანური გარემოცვის ორი უმთავრესი სახელმწიფო, დაინტერესებულნი არიან საქართველოს ერთიანობით. ჩვენ რაღა მოგვივიდა? რამ დაგვიკარგა გონების თვალისჩინი?

ამ წერილის მკაცრი ტონი არავის შეშინებას არ ისახავს მიზნად და არც არავის შეურაცხყოფს. მას ერთადერთი მიზანი აქვს: გავისიგრძეგანოთ ისტორიული მომენტის არსი და მნიშვნელობა, შევიგრძნოთ დაცემის ანატომია და ჟამის თვისება: ვისაც მიცემული ჰქონდა, იმას უფრო მეტი მიეცემა, ხოლო ვისაც არ ჰქონდა მიცემული, იმას ისიც წაერთმევა, რაც ჰქონდა. სწორედ ამ ნიშნით გაჰყო მაცხოვარმა მკვდრები და ცოცხლები, მაცხოვარმა, ვინც მობრძანდა ვითარცა მახვილი და ვინაც ბრძანა: მკვდრებმა დამარხონ თავისი მკვდრები.

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

● მყავს ექვსი წლის შვილი, რომელიც არც საბავშვო ბაღში დადის და არც სკოლაში. მოხდა ისე, რომ ამჟამად არც მე და არც ჩემი მეუღლე არ ვმუშაობთ, პურის ფულის კომპენსაციას სოცუზრუნველყოფის განყოფილებიდან ვიღებთ, ბავშვის კუთვნილი კომპენსაცია კი, სად მივიღოთ, ვერ გაგვირკვევია.

ნელი აბდუშელიშვილი.
თბილისი.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური სახის შეკითხვა მივიღეთ ქუთაისიდან. ჯ. კვირიკაშვილი გვწერს, რომ მან ამ საკითხთან დაკავშირებით არა ერთხელ მიმართა ქუთაისის სოცუზრუნველყოფის განყოფილებას, მაგრამ იქ ამის თაობაზე არაფერი იციანო.

განმარტებისათვის მივმართეთ რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის შრომისა და დასაქმების სამინისტროს სამმართველოს უფროსს ირინე ღლონტს. მან გვიპასუხა:

— მშობლებს ბავშვებისათვის განკუთვნილი პურის ფულის კომპენსაციის მისაღებად უნდა ჰქონდეთ ცნობები, რომელთაც გასცემენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სკოლამდელი დაწესებულებები. სასწავლებლები, ხოლო იმ ბავშვებს, რომელთაც ექვსი წელი შეუსრულდათ და არც სწავლობენ და არც ირიცხებიან სკოლამდელ დაწესებულებებში — სახლმმართველობები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. აღსანიშნავია, რომ ასეთი ცნობები მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტებთან გათანაბრებული.

● პატივცემულო რედაქცია! „არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ" — ამ რუბრიკით თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო პასუხი, რომ კომერციული სასწავლებლების სტუდენტები პურის საკომპენსაციო ფულს მიიღებდნენ თავიანთ სასწავლებლებში. გაირკვა, რომ ეს შეუძლებელია. გაგვაგზავნეს რაიონული სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში, იქიდან შრომის ბირჟაზე — ყველამ უარით გამოგვისტუმრა. მარტო ჩვენ ხომ არ ვართ ასეთ დღეში, კომერციულ სასწავლებლებში ხომ ათასობით სტუდენტი სწავლობს, იქნებ გაგვარკვიოთ, ვის მივმართოთ ამ საკითხზე?

შალვა ნოზაძე
ქობულეთი.

რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ მირიან მურჯიკნელმა გვაცნობა: — შეიცვალა მთავრობის დადგენილება ამ საკითხზე. ახალი დადგენილებით ყოველგვარი კომერციული სასწავლებლების სტუდენტებისა და მოსწავლეების პურის კომპენსაციას მიიღებენ მამები თავიანთ სამუშაო ადგილზე, სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. თუ მამა არ მუშაობს, ან არ ჰყავს, მაშინ — დედა, თუ არც ერთი არ ჰყავს, ან არ მუშაობენ, მაშინ ის პირი, ვისთანაც სტუდენტი ცხოვრობს.

აფხაზეთის ამბები

სოხუმის დაკარგვა საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვას ნიშნავს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის მიერ საქინფორმის კორესპონდენტთან თენგიზ ჭიბუტთან ნათქვამი ეს სიტყვები ასახავენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ახლა შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება ამ რეგიონში.

— ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, — თქვა თამაზ ნადარეიშვილმა, — რამდენიმე დღეა მიმდინარეობს აფხაზ სეპარატისტთა და მათ დაქირავებულთა შეიარაღებული ძალების კონცენტრაცია მდინარე გუმისთასთან. აქ მოვიდნენ მაშველი ძალები — კავკასიის ხალხთა კონფედერაციის რაზმები. — ადიღეთა, ჩერქეზთა, ყაბარდოელთა, ჩეჩენთა, აგრეთვე კაზაკთა, რუსთა რაზმები. შევსება მოვიდა დნესტრისპირეთიდან, გადმოაქვთ მძიმე ტექნიკა, არტილერია, ერთი სიტყვით, მზადდება ქალაქ სოხუმის გადამწყვეტი იერიში.

დღეს მთელმა საქართველომ უნდა იცოდეს: სამშობლო განსაცდელშია, ეჭვქვეშ დგება მისი ტერიტორიული მთლიანობა, მიმდინარეობს ნამდვილი სამამულო ომი, გრძელდება აგრესია ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის ნიღბით. საქართველოს თითოეულ მცხოვრებს უნდა ესმოდეს, რომ აფხაზეთში წყდება საჭირბოროტო საკითხი — იქნება თუ არა საქართველო სახელმწიფო.

მივიღეთ გადაწყვეტილება, ხელი არ მოვაწეროთ ომის ტყვარჩელში ჰუმანური დახმარების მიტანის მეორე ეტაპის დაწყების შესახებ, — თქვა შემდეგ თამაზ ნადარეიშვილმა. — ჩვენ შეკითხვა დავუსვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიას იმის შესახებ; იგი შეიძლება მხოლოდ მაშინ გაგრძელდეს, თუ ჰუმანურ ტვირთს ჩაიტანენ გაგრაშიც და გუდაუთის რაიონშიც. თუ იქიდანაც იმ რაოდენობის ადამიანებს გამოიყვანენ, რომელიც შეთანხმების დარღვევით გამოყვანილი არ ყოფილა ტყვარჩელიდან. ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აფხაზეთის მხარეს არაერთხელ განუცხადებია, თითქოს ქართველებს ტყვარჩელიდან გამოსვლა არ სურდეთ. ყოველივე ეს სიცრუეა. ადამიანები უბრალოდ, დააშინეს აფხაზმა მოთარეშეებმა და ფიზიკური მოსპობის მუქარით, იძულებულს ხდიან უარი თქვან ბლოკირებული ქალაქიდან გამომგზავრებაზე.

ახლა კვლავ შევეხოთ იმას, რაც სადღეისოდ ყველაზე მთავარია, ვითარებას საომარი მოქმედების სოხუმისა და ოჩამჩირის მიმართულებებით — იგი მეტად რთული და დაძაბულია. ზოგიერთ მოქალაქეს იმის განცხადების შემდეგ, რომ შესაძლოა, ქალაქის შტურმი, ეჭვი და თავისთავში დაურწმუნებლობის გრძნობა შეეპარა. მაგრამ, ასეთი, მე ვიტყოდი, პანიკური განწყობილებისათვის საფუძველი არ არის. იცვლება ქალაქის დამცველთა რიგები, შემოდის დამატებითი საბრძოლო ტექნიკა და ის, ვისაც თავი საქართველოს მოქალაქედ მიაჩნია, ამ მძიმე დღეებში აქ უნდა იყოს. სოხუმის იერიში მოწინააღმდეგემ არაერთგზის სცადა. ერთი ასეთი იერიში მოვიგერიეთ 5 იანვარს და აფხაზეთის მხარემ დახოცილთა სახით 300-ზე მეტი კაცი დაკარგა. თუ იერიში განმეორდება, ახლა მსხვერპლი მნიშვნელოვნად მეტი იქნება. ეს კი ნიშნავს, აფხაზი ერის გენოფონდს თავად აფხაზები მოსპობენ და ამას მათ არავინ არ აპატიებს.

ვიპოვოთ ჭეშმარიტება

სამეგრელოს რეგიონში მიმდინარე პროცესების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის კითხვარი ინფორმაციის მისაღებად

საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია სწავლობს სამეგრელოს რეგიონში 1992 წლის განმავლობაში (1 იანვრის 0 საათიდან) მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს და მათთან დაკავშირებულ მიმდინარე პროცესებს. კომისიის მიზანია ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს პარლამენტსა და საზოგადოებრიობას, რათა ხელი შეუწყოს სამართლიანობისა და მშვიდობის აღდგენას აღნიშნულ რეგიონში, და, რაც მთავარია, მომხდარის ზუსტი პირუთვნელი სურათი დაუტოვოს შთამომავლობას. კომისია აზრს ჰკითხავს ყველას, ვისაც შეუძლია ინფორმაცია მიაწოდოს, როგორც მომხდარი ამბების მოწმემ, მონაწილემ ან დაზარალებულმა, ვთხოვეთ მათ, უპასუხონ ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებს და პასუხი გამოაგზავნონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი, 29, პარლამენტი. სამეგრელოს რეგიონში მიმდინარე პროცესების შემსწავლელი საპარლამენტო კომისია, ტელეფონი: 93-14-81. ინფორმაციის მისაღებად, სამეგრელოს რეგიონის რაიონებსა და ქალაქებში შეიქმნება ინფორმაციის მისაღები პუნქტები, რომელთა მისამართები გამოქვეყნდება.

მიღებული ინფორმაცია დამუშავდება, მოხდება მისი კლასიფიკაცია, შეჯერება და შესწავლა. გთხოვთ, თქვენს პასუხებში მიუთითოთ კითხვის ნომერი, რათა კომისიას გაუადვილდეს მისი დამუშავება.

კითხვები:

1. ქართველებს შორის მომხდარი შეიარაღებული შეტაკებების რა და რა შემთხვევები იცით 1992 წლის 1 იანვრიდან თბილისში ან თბილისიდან დასავლეთის მიმართულებით, რომელიც შეიძლება დაუკავშირდეს სამეგრელოში მომხდარ მოვლენებს.
2. 1992 წლის განმავლობაში, 1 იანვრიდან დღემდე, სამეგრელოს რეგიონში რამდენჯერ შევიდა ხელისუფლების შეიარაღებული ძალები. (უჩვენეთ ზუსტი თარიღი, ნაწილთა დისლოკაციის ადგილი და იქ ყოფნის პერიოდი). მიუთითეთ სამხედრო შენაერთები, მათი უშუალო მეთაურები და ზემდგომი თანამდებობის პირი;
3. ვისი, ან რომელი ორგანოს განკარგულებით შევიდა აღნიშნულ რეგიონში კონკრეტული სამხედრო ფორმირებები. უჩვენეთ განკარგულების ფორმა, თარიღი, თუ შეგიძლიათ, მოგვაწოდეთ დოკუმენტის ქსეროასლი.
4. რა ამოცანები ჰქონდა დასახული აღნიშნულ სამხედრო ფორმირებებს. (უჩვენეთ, თუ შეგიძლიათ, კონკრეტულად) და როგორ შეასრულეს დავალება;
5. რა ადგილობრივი მოვლენები უსწრებდა წინ აღნიშნულ რეგიონში შეიარაღებული ძალების შესვლას. აღწერეთ იმდროინდელი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და კრიმინოგენული ვითარება;
6. ცნობილია თუ არა, თქვენთვის დანაშაული, ჩადენილი აღნიშნული შენაერთების ან ცალკეული ჯარისკაცების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ? თუ ასეთ ფაქტებს ჰქონდა ადგილი, — ჩამოთვალეთ კონკრეტულად დანაშაულის სახეობა, მკვლელობა, დაჭრა, გაუპატიურება, ძარცვა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, და სხვ. უჩვენეთ დამნაშავეთა ვინაობა.
7. ვინ არის დაღუპული ან დაჭრილი მშვიდობიან მოსახლეობაში (უჩვენეთ მათი ვინაობა).
8. აღძრულია თუ არა სისხლის სამართლის საქმე ზემოხსენებულ დანაშაულობებზე. (შეადგინეთ დამნაშავეთა სია, თუ შეგიძლიათ — ფორმირებების ჩვენებით) და რა ფაზაშია გამოძიება?
9. მოსახლეობის მხრივ, სამხედროების მიმართ ჰქონდა თუ არა ადგილი შეურაცხყოფას (ფიზიკურს, სიტყვიერს) იარაღით დაპირისპირებას, თავდასხმას? თუ ჰქონდა, ჩამოთვალეთ კონკრეტული შემთხვევები და დამნაშავეთა ვინაობა.
10. რა და რა შეიარაღებული ფორმირებები არსებობდა ადგილზე, თბილისიდან მოსული შეიარაღებული ძალების და შინაგან საქმეთა ორგანოების გარდა? აღწერეთ მათი მოქმედება მთელი განსახილველი პერიოდის მანძილზე (კონკრეტული ფაქტების ჩამოთვლით).
11. რა იცით ამ ხნის მანძილზე მომხდარი აფეთქებების და სხვა დივერსიების შესახებ?
12. რა იცით ამ ხნის მანძილზე მომხდარი რეპრესიების შესახებ?

შეგიძლიათ წარმოადგინოთ აგრეთვე, ამ საკითხებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.

თუ რომელიმე კითხვას ვერ უპასუხებთ, მაშინ მიუთითეთ ის პიროვნება, ვინც, თქვენი აზრით, შეძლებს პასუხის გაცემას.

ამ კითხვების ადრესატია ყველა, ვისაც შეუძლია რაიმე ცნობა მოგვაწოდოს. დღეისათვის ეს კითხვები გაგზავნილი გვაქვს ხელისუფლების, თავდაცვის სამინისტროს, სამართალდამცავი და სხვა ორგანოების ხელმძღვანელებთან და, ჩვენი აზრით, ინფორმირებულ პირებთან.

სამეგრელოს რეგიონში მიმდინარე პროცესების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისია.

ვიდრე საერთოდ გვიან არ არის...

მივხედოთ, ვუპატრონოთ მიწასა და გლეხს

ლევან ფრუიძე
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი.

კარს მოგვადგა გაზაფხული. ხეში წყალი ჩადგა, ჩვენ კი... ნუთუ ეს გაზაფხულიც გაგვიცდება?

მიწა თავისას მოითხოვს. ჩვენ კი... 60 ათასი ჰექტარი საშემოდგომო პურეული არ დათესილა. თოვლი მალე დადნება და დამუშავებას დანატრებულ სავარგულებს ისევ ხელცარიელი შევხვდებით. სოფელს ტრადიციული შრომის იარაღები და გამწევი ძალა აღარ მოეპოვება. უსაწვავოდ დარჩენილი ტექნიკაც ჯართადაა ქცეული, განგაშს კი ჯერჯერობით არავინ ტეხს. ენებათა ღელვას ერთი შეხედვით, თითქოს სხვა უფრო მწვავე პრობლემები იწვევს. მადლიანი ქართული მიწა რომ კარგა ხანია ცდება. ამის დამღუპველ შედეგს ვერც ვაცნობიერებთ. ნუთუ შევეჩვიეთ უცხო ქვეყნებიდან მოწყალების მიღებას და შიმშილის სახედისწერო ზღვარზე ყოფნას?!

სახელმწიფოს მეთაურმა მაღალი ტრიბუნიდან რამდენჯერმე განაცხადა, რომ ქალაქელებმაც მიწის ნაკვეთი უნდა მიიღონ, რათა საკუთარი ხელით მოიპოვონ პური არსობისა. შეუძლებელია არ დაეთანხმო, ათეულ ათასობით ადამიანი ეძებს მარჩენალ მიწას, მაგრამ ამაოდ, მოჯადოებული წრე ვერ გადაულახავს. მიწა კიდევაც რომ მიიღოს, შიშველი ხელებით რას გახდება. ნაკვეთამდე მისვლა, საჭირო ტვირთის მიტანა და წამოღება იმდენი დაუჯდება, ხარჯებს ვერ აინაზღაურებს. ასეთ ვითარებაში შრომა აზრს კარგავს. შარშან მოქალაქეთა უმრავლესობამ მშობლიურ სოფლებში მამაპაპურ სახლკარსაც ვერ მიაკითხა და ყველაფერი გაუოხრდა. თებერვალი მაინც მოვიდა, გაზაფხული მაინც დადგა და მიწაც დაჟინებით მოითხოვს თავისას...

ჩვენი ღრმა რწმენით, ყველა შესაბამისმა სამსახურმა შექმნილი მდგომარეობა უნდა განსაჯოს, ყველა საქმე გვერდზე გადადოს და რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა დარაზმოს, რათა ერთი მტკაველი სავარგულიც არ გაცდეს. სახელმწიფომ საქმიან წრეებთან ერთად უნდა შეძლოს საწვავისა და საჭირო ტექნიკის, შრომის იარაღების შოვნა და უამრავი თავისუფალი მუშახელის დასაქმება. ამჟამად არა აქვს მნიშვნელობა, ვისი იქნება მიწა, მთავარია, არ გაცდეს. ხალხი შრომასაა მოწყურებული და, თუ მას შრომის პირობები შევუქმენით და საკუთარ ნაფლარს მივცემთ გაწეული ხარჯების გათვალისწინებით, სასწაული მოხდება, ჭოდზე კაცი გამოვა და ამ გაპარტახებულ, გატიალებულ ქვეყანაში ერთბაშად სიუხვე და ბარაქა დატრიალდება. მართალია, მრავალწლოვანი კულტურების გაშენებას წელს ვერ შევძლებთ, მაგრამ მარცვლეულისა და ბოსტნეულის მოყვანა, თუ საწვავი და ტექნიკა, თესლი და სარწყავი წყალი იქნა, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მით უმეტეს, მუშახელი უამრავია. მარტო თბილისში მცხოვრები უმუშევრები და ნახევრადუმუშევრები საგარეუბნო რაიონებში აუვლიან საქმეს. ათასობით მოქალაქე უწყებიდან უწყებაში დადის და დასაქმებას მოითხოვს. თუ მათ ორგანიზებულად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოზე გადაიყვანენ, მეტადრე ასეთი სამუშაოები სეზონურია, ძალ-ღონეს არ დაზოგავს, ისე იშრომებს, გაწეულ ხარჯსაც დაფარავს, ოჯახისათვის ლუკმა-პურსაც იშოვის და ქვეყანასაც დაარჩენს.

განგაშის ზარი

გეთანხმებით, ამის პრაქტიკული ხორცშესხმა უამრავ სირთულესთან არის დაკავშირებული, მაგრამ მეტი გამოსავალი არ გვაქვს და ყველა დაბრკოლება უნდა გადავლახოთ. დაუყოვნებლივ უნდა აღვადგინოთ ტრადიციული თვითმმართველობა და მიწის საკუთრების, მფლობელობის და სარგებლობის ეროვნული სისტემა, რაც საშუალებას მოგვცემს დროულად გადავწყვიტოთ შრომის ორგანიზაციის გადაუდებელი საკითხები. ამ საშვილიშვილო საქმისთვის როგორც სახელმწიფო, ისე კერძო კაპიტალის მოზიდვა ძნელი არ არის. ეს ხომ შეწირული თანხა არ იქნება, ყოველი დახარჯული მანეთი უკან მოგებით დაბრუნდება და თან კრიზისში მყოფი ქვეყანა ჩიხიდან გამოვა. ერთი სიტყვით, სახელმწიფოებრივ-ეროვნული და პირადი ინტერესები როგორმე უნდა შევათანხმოთ და საკუთარ თავს საერთო ძალით ვუშველოთ. უამისოდ დამშეულ და გაუბედურებულ საქართველოში კეთილდღეობას და ბედნიერებას ვერავინ ეზიარება. კეთილდღეობას და ბედნიერებას მაშინ აქვს აზრი, როცა იგი საყოველთაოა.

რეპლიკა

დასანანი უზუსტობა

კეთილი საქმის გაკეთება სცადა „ზაკავკაზსკიე ვოენნიე ვედომოსტის" კორესპონდენტმა ვიქტორ ვირინიუმა, ჩამოართვა რა ინტერვიუ საქართველოს დელეგაციის მეთაურს, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს მიხეილ უკლებას („ზაკავკაზსკიე ვოენნიე ვედომოსტი", 1993 წლის 6.02). ამიერკავკასიის რუსეთის ჯარების ჯგუფის სამხედრო მოსამსახურეები, ალბათ, ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების შედეგებით. ნებისმიერი კარგი ამბავი მოლაპარაკების შემდგომი ბედისათვის მისწრებაა ეთნიკური კონფლიქტის გადაწყვეტის გზაზე. საქართველოს მესაზღვრეებისათვისაც არ არის სულერთი მოლაპარაკების მსვლელობა და არც საზოგადოების პარლამენტის რეაქცია მათ შედეგებზე. აი, ამიტომ ჩვენ ძალიან გაგვაკვირვა, როდესაც წავიკითხეთ უკლებას პასუხი კორესპონდენტის შეკითხვაზე რუსეთის მესაზღვრეების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ვადების შესახებ: „მესაზღვრეთა ფორმირებებისათვის — 1996 წლამდე. მესაზღვრეები ალბათ მაშინ წავლენ". მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმების პროექტში კი ნათქვამი იყო, 1994 წლის ბოლომდეო. ბუნებრივია, ჩვენ მაშინვე დავუკავშირდით ტელეფონით ბ-ნ უკლებას და ვთხოვეთ განმარტება, რისთვის დაგვჭირდებოდა — შემუშავებული საბუთისათვის, თუ საგაზეთო პუბლიკაციისათვის. საბუთს, საბუთს და კიდევ ერთხელ საბუთს — იყო პასუხი. ხოლო რაც შეეხება „ვედომოსტში" მითითებულ თარიღს, იგი, უკლებას სიტყვებით, მთლიანად პუბლიკაციის ავტორის, ან რედაქციის სინდისზეა.

რა დავუმატოთ ნათქვამს? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა გაჩუმება: შეცდომა ვის არ მოსვლია. მაგრამ შეცდომაც არის და შეცდომაც, რუსეთ-საქართველოს შეთანხმების შემუშავება რთულ ვითარებაში მიმდინარეობს. მას ჰყავს მომხრეებიცა და მოწინააღმდეგეებიც. ჩვენ მიზნად არ ვისახავთ, გავარჩიოთ მართალი-მტყუანი. მათ, ვინც დაინტერესებულია ამ პრობლემით, შეგვიძლია ვურჩიოთ გაეცნოს საქართველოს პარლამენტის სხდომების მასალებს. ნებისმიერი დაუფიქრებელი სიტყვა, დამახინჯებული ფაქტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხელს აძლევს არაკეთილმოსურნეებს. გვინდა გვჯეროდეს, რომ „ზაკავკაზსკიე ვოენნიე ვედომოსტი" მათ რიცხვს არ მიეკუთვნება.

საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების მთავარი სამმართველოს პრესცენტრი.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ბიზნესის უმაღლესი სკოლა

გთავაზობთ სწავლის გაგრძელებას მეორე ახალი სპეციალობის მისაღებად.
ეკონომიკა — საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობა;
ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა.
სამართალმცოდნეობა — ბიზნეს-იურისტის სპეციალობით.
საბუთები მიიღება 25 თებერვლამდე. მეცადინეობა დაიწყება 1 მარტიდან.
მეცადინეობა მოეწყობა კვირაში ორჯერ — პარასკევსა და შაბათს წარმოებიდან ნაწილობრივ მოწყვეტით და გაგრძელდება მიმდინარე წლის დეკემბრამდე.
სწავლის წარმატებით დამთავრების შედეგად მსმენელები მიიღებენ მეორე სპეციალობის დიპლომს და საერთაშორისო მნიშვნელობის სერტიფიკატს.
სწავლის ქირა 30 000 მანეთია.
უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა მეორე სპეციალობით სწავლის ფასი შეღავათიანია — 30 პროცენტით.
სწავლის დამთავრების შემდეგ სტუდენტები გაივლიან სტაჟირებას საზღვარგარეთ დამატებითი საფასურის გადახდით.
ცნობებისათვის: საბურთალო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული, ოთახი 1103, ბიზნესის უმაღლესი სკოლა.
ტელეფონები: 30-01-07, 30-40-78 10-დან 16 საათამდე.

ჯემალ ქურხული

მეუდაბნოე,

ანუ ილო — ჩემი მეგობარი

ილო ქვლივიძე იგეთი შეწუხებულ-შეჭირვებული არ მინახავს. ამბობს კიდეც: დღევანდელ საქართველოში, ვინც ომზე არ ფიქრობს, ვინც გამარჯვებისთვის არ ირჯება, კაცად არ ჩაითვლებაო. ამ დროს მისი ფიქრი და შრომა ერთი კაცისას ბევრად სჭარბობს. ცხვარ-ძროხის სიყვარული მამისგან მოსდგამს...

ოთხმოც წელს გადაცილებული ძველი მეცხვარე ივანე ძია თავის ბიჭკართან ჩამოჯდება, ძველი ცეცხლის გოდოლს ხშირად შეავლებს თვალს, და შვილიშვილებს მალიმალ ეკითხება, მამა არ მოსულაო?..

ჩემი მეგობარი ილო ქვლივიძე კი შეიძლება ამაღამაც არ მოვიდეს. კაცია, და მყუდრო ცხოვრებისთვის ვერ მოიცლის.

ილო ქვლივიძემ, ხუთი თითივით იცოდა მთელი უდაბნო, და წინაპართაგან დატოვებული ეკლესია-მონასტრების კომპლექსები შესწავლილი ჰქონდა. მაშინ უდაბნოში სოფელი არ იყო და რამდენიმე კაცის გარდა, არავინ ვარაუდობდა რომ აქ ადამიანები დასახლდებოდნენ. საგარეჯოს რაიონის და რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელები კი უკვე სერიოზულად ფიქრობდნენ უდაბნოს აღორძინებაზე.

სასიქადულო ქართველმა ნიკო კეცხოველმა თურმე თქვა: ერს, რომელსაც ისტორია არ აქვს, მიეცით უდაბნოს სამონასტრო კომპლექსი და ბრწყინვალე ისტორია ექნებაო. ეს ნათქვამი ყოველმა საგარეჯოელმა ვიცოდით, მაგრამ უდაბნოს აღორძინება და იქ სოფლის დასახლება იმდენად შეუძლებლად მიგვაჩნდა, რომ ამაზე ოცნებაც არ შეგვეძლო. ორი ადამიანი კი ამის შესახებ უკვე რეალურად ფიქრობდა. ჩვენს თვალწინ რა არ მოხდა, რამდენი რამ გადაიტანა საქართველომ და დღესაც რამდენს განიცდის, მაგრამ მიუხედავად ამჟამინდელი მდგომარეობისა, უდაბნოს განსაკუთრებული ყურადღება აქვს.

ეს ტრადიცია შექმნეს იმ პიროვნებებმა, რომლებიც ახლაც დიდ პოლიტიკურ სარბიელზე არიან.

ვინ რას ფიქრობს ყოფილ რაიკომის მდივნის ინსტიტუტზე, ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს, თუნდაც იმიტომ, რომ, საბედნიეროდ, აღარ მობრუნდება. მე სამუდამოდ დამამახსოვრდა ქალბატონ მედეა მეზვრიშვილის მიერ ოციოდე წლის წინათ ჩემთან ნათქვამი: უდაბნო ქართველთა ნამოღვაწარია, კონსტიტუცია ადამიანების სურვილებისამებრ ხშირად იცვლება, ხომ შეიძლება ჩვენი სამუზეუმო ნაკრძალი, სხვათა ხელში აღმოჩნდეს, ან საამისო პრეტენზია ვინმემ განაცხადოს? ამ საუბრის შესახებ არსად მითქვამს, ჯერ ერთი, მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, თუ შეიძლებოდა ვინმეს ამგვარი უსამართლო და უსინდისო პრეტენზიები წამოეყენებინა და კიდევ ბიჭი ყოფილიყავი და ამგვარი შიში თუ ვარაუდები გაგემხილა.

სოფელ უდაბნოს აშენებით, დიდი შრომითი ძალისხმევით, ჭეშმარიტი ეროვნული საქმე გაკეთდა. მაშინდელ უდაბნოზე გეუბნებოდით, იქ სოფელი არ იყო, მაშასადამე არ იყო გზა, სინათლე, დანგრეული და გაპარტახებული მონასტრების კვალი კაცს უნდა გეძებნა და შეიძლება დაკარგულიყავ.

მტერს ნურა გაუხარია

როცა უდაბნოს სამუზეუმო ნაკრძალი შეიქმნა, ჭკვიანმა, შორსგამხედველმა ადამიანმა იცოდა, რასაც აკეთებდა და იქ დირექტორად ილია ქვლივიძე დანიშნა, ამით კი უდაბნოს ქომაგი და პატრონი გაუჩინა.

რა თქმა უნდა, იყვნენ ისეთნიც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა (ილია კარგი მოჭიდავე იყო), ნიჭიერი და განათლებული (უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლობდა და საკანდიდატო დისერტაცია თითქმის დასრულებული ჰქონდა) სადღაც დასაკარგავში გადაადგეს. ქვლივიძის მეგობრები კი ფიქრობდნენ, რომ საქმეს, რაც მაშინ უდაბნოს სჭირდებოდა, ილოსავით ვერავინ გააკეთებდა.

და მაშინ ევგენის ბიჭზე, ჩვენთვის გასაგებ, მაგრამ უცხოთათვის დაუჯერებელ ამბებსა ჰყვებოდნენ.

ილია თავისი მკლავის იმედზე იყო, ებრძოდა უსინდისობასა და უცხოთა მოძალებას, მარტო იყო ამ ბრძოლაში, უდაბნოში მეგობარი ვერ დაუდგებოდა გვერდით და ვერც მილიცია გაუჩენდა სამართალს.

მოკვეთემ ხომ ისედაც იცოდა, მაგრამ მან დაუდევრებსა და მტრებს ასწავლა ჩვენი წინაპრებისა და მათი ნაკვალევის პატივისცემა.

ბევრი რამის გახსენება შეიძლება. სჯობს გავჩერდეთ, თორემ შორს წავალთ. ის კი უთუოდ უნდა ვთქვათ, რომ როცა უდაბნოში უცხოთა თარეში აკრძალა, როცა სამონასტრო კომპლექსში ილია ქვლივიძის შიშით, დიახაც უნდა ითქვას, რომ სწორედ ფიზიკური შიშით, ცხვარი აღარავის გაუშვია, ნებაა, ადგა ეს დაუდგრომელი, ჭკვიანი ერთგული კაცი, საქართველოს საზღვრის მაჩვენებელი ფირნიშის ბოძი მხარზე გაიდო, წაიღო და იქ დაარჭო, სადაც საჭიროდ ჩათვალა მისი არსებობა.

აი, ახლა ესა ვთქვი და (ცოტა არ იყოს შევწუხდი), დამიჯერებს კი ვინმე ამ ამბავს? იმათზე კი არ გეკითხებით, რომლებიც ილოს იცნობენ და უფრო კარგ ამბავს მოგვითხრობენ, სხვებზე გეუბნებით, — ვინც არ იცნობს.

მერე ჩემი მეგობრის თვალწინ აშენდა სოფელი, ჯერ ჯავახები დასახლდნენ, მერე კი — სვანები, ისინი ბევრნი არიან და ის ღირსება აქვთ, რომ ვაჟკაცებს განსაკუთრებულ პატივს სცემენ, მათ ილია ქვლივიძე ძმასავით შეითვისეს. ზოგი რამ მისი თავგადასავლების შესახებ, სხვებისგან იცოდნენ, ბევრი რამაც თვითონ იხილეს და საგარეჯოს რაიონულ ცენტრში ბარე ორჯერ-სამჯერ ავიდნენ, მოითხოვეს, ეს კაცი უდაბნოს მეცხვარეობის მეურნეობის დირექტორად გვინდაო. ხმა ღვთისა და ხმა ერისა, და ილია უკვე რახანია დიდი სოფლის დიდ მეურნეობას თავკაცობს. დღეს ეს მეურნეობა თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნის.

რა ვქნა, ახლა გამახსენდა და უნდა გითხრათ, ერთხელ ილიამ კაცი იმიტომ გალახა, როგორ თუ დამშეულ ძაღლს კეტით დაუნდობლად სცემ, დაიღლები, დაისვენებ და მერე ისევ მიუტრიალდები ძაღლს საცემრადო.

სევდიანი, მწუხარი, ახალი წელიწადი დადგა საქართველოში, მაგრამ როგორც წინაპრების იმ სიმღერებშია, — „მტერს ნურა გაუხარია"...

ვინც სამშობლოს სადარაჯოზე დგას, ახლაც და მარად უნდა ახსოვდეს, რომ საგარეჯოს რაიონში არის სოფელი უდაბნო, არის მეურნეობა, ჰყავთ თავკაცი ძია ილო, რომელიც თითოეულ მათგანზე ისე ზრუნავს, როგორც ომში წასულ შვილებზე...

ამიტომ ილო ქვლივიძე შეიძლება ამაღამ სულაც ვერ მივიდეს ოჯახში. საქმეა, ჩემი მეგობარი ეგრე ადვილად ვერ მოისვენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზრისი

არის კი შანსი გადარჩენის?

წერილი პირველი

აკაკი ვასაძე

ჩვენი სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინების იდეა (ანუ საკითხი) დღესაც დგას ჩვენს წინაშე, ოღონდ, სულ სხვაგვარად, ვიდრე, წესით, უნდა იდგეს. თუ წინათ იდეის რეალიზაცია მოითხოვდა თეორიულად შესაძლებელი სიტუაციების შექმნას, მათ გამოყენებას და წინააღმდეგობათა წინმსწრაფ გადალახვას, ამჟამად იგი მოითხოვს აქამდე შექმნილი სიტუაციების შენარჩუნებას და, რაც მთავარია, გადარჩენას; და გადარჩენას არა მარტო ადრე მონაპოვარისა, არამედ ქართველობის გადარჩენას ეროვნული გადაგვარება-გადაშენებისაგან და თვით ფიზიკური განადგურებისაგან.

რამ დაგვაყენა ამ კატასტროფის წინაშე?

ამის გასააზრებლად უნდა დავუკვირდეთ ურთიერთმიმართების ხასიათს იმ თეორიული და პრაქტიკული ასპექტებისა, რომლებიც გასული წლების მანძილზე მოწოდებული იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინების იდეის განსახორციელებლად.

1989 წლიდან საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობის მშენებლობისათვის საჭირო თითქმის ყველა სიტუაცია შეიქმნა: კომპარტიამ ჯერ ფარხმალი დაჰყარა და მერმე — დაემხო; საბჭოთა კავშირი დაირღვა; ეროვნული ხელისუფლება დამყარდა და სხვა, მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი, 1987-88 წლებში თვით საოცნებო სიტუაციაც შეგვექმნა.

სამწუხაროდ, ეროვნულმა ძალებმა, რომლებმაც თავს იდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინების ჰაპანის წევა — სასურველ სიტუაციებს გონივრული და, რაც მთავარია, „სუბიექტივიზმის ტყუილით" წარუყვნელი მიზნობრივი ქმედება ვერ შეუსაბამეს. მერაბ კოსტავას სიკვდილის შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის გადაწყვეტა ეროვნული მოძრაობის ამა თუ იმ ლიდერის ერთპიროვნულად აღსასრულებელ პირად საქმედ იქცა, — ამა თუ იმ ლიდერის წამოდგენით, ის ერთი იყო სწორი და სხვა დანარჩენი ტყუოდა, მხოლოდ იმ ერთის დასახული გზითა და მესვეურობით განხორციელდებოდა ქართველთა ოცნება. ფაქტები მეტყველებენ, რომ ეს იყო სუბიექტური თვითწარმოსახვის ამბიციები. განა მრავლის მხრივ ნიშანდობლივი არ არის, რომ სწორედ მერაბ კოსტავას სიკვდილის შემდეგ, — ესე იგი, მას შემდეგ, რაც ეროვნულ მოძრაობას გამოეცალა მართალი სულის ძალა, — ურთიერთდაპირისპირებული პარტიების და ორგანიზაციების ქმედება სრულად ჩაეწერა „ცენტრის" მონახაზში. „ცენტრის" მონახაზში აღმოჩნდა ეროვნული ხელისუფლებაც და კონგრესიც.

კატასტროფა გარდუვალი იყო, რადგან „ცენტრის" მონახაზში მოქცეული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა (ეროვნული ხელისუფლების და კონგრესის ურთიერთდაპირისპირების ფონზე) გადაიქცა ანარქიის, პირადი ამბიციების შეხლა-შემოხლის და ბნელი სოციალური ლტოლვების განაღდების ასპარეზად. საბოლოო ჯამში ასე გამოვიდა: ქვეყნისა და ხალხისთვის კი არა, საკუთარი ზრახვების გასანაღდებლად უნდოდათ „თავისუფლება". ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, ისინი „სუბიექტივიზმის ტყუილის" ტყვეობაში აღმოჩნდნენ და, ნებით თუ უნებურად, ეროვნულ იდეას კი არა, „სუბიექტივიზმის ტყუილს" მსახურებდნენ. ამ საერთო მდგომარეობას ვერ ცვლიდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე მოქმედი ვერც ერთი მართლად მოაზროვნე პიროვნება. თითქოსდა განგებისად, „სუბიექტივიზმის ტყუილის" წრეში აღმოჩნდა მთელი ქართველობა. და უმთავრესი, რაც ამ „ტყუილს" აღვივებდა და ზრდიდა, ეს იყო დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი ქვეყნისა და ხალხის სახელმწიფოებრივი მართვის უუნარობა.

სწორედ ამიტომ ვერ გასცდა პრეზიდენტის ხელისუფლება ქვეყნის მართვის სამიტინგო მეთოდს და არა ერთი და ორი გადამწყვეტი მნიშვნელობის შეცდომა დაუშვა. ასე მაგალითად, პრეზიდენტის ხელისუფლებამ სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისას უგულებელყო ეთნიკურ და სოციალურ-კლასობრივ ინტერესთა დომინანტი (საბჭოთა სისტემით ისედაც გამრუდებული) და მოინდომა, მთელი მოსახლეობა ნაციონალური იდეისთვის დაექვემდებარებინა. XIX-XX საუკუნეთა პოლიტიკურ ფილოსოფიაში ჩახედულ საზოგადო მოღვაწეს და, მით უმეტეს, პოლიტიკოსს, ასეთი სურვილიც არც უნდა გასჩენოდა განსაკუთრებით საქართველოს სინამდვილეში.

„ეროვნული ინტერესით" საქართველოს მოსახლეობის დარაზმვის და სახელმწიფო მშენებლობის იდეა — ჩანასახშივე შეიცავდა ტყუილს. ძალიან ბევრი თითქოს მოინუსხა ამ ტყუილით: ზოგი მართლა მოინუსხა, რადგან მამულიშვილურ გრძნობას წრფელად ატარებდა გულში; ზოგიც მონუსხულს გატაცებით თამაშობდა წვრილმანი სუბიექტური სწრაფვებით ატაცებული; ზოგმაც ნიღბად მოირგო „ეროვნული ინტერესის" ერთგულება და ამ ნიღბით უწინდელზე ხალვათად განაგრძო თავისი ბნელი მომხვეჭელური საქმეები... სხვებზე რა უნდა ითქვას, როდესაც პრეზიდენტის თანამებრძოლებშიც ძნელად თუ მოიძებნებოდა „ეროვნული ინტერესის" ჭეშმარიტი მცოდნე და უღალატო მსახური. და ყველაზე დიდი ტყუილი იყო ის, რომ პრეზიდენტმა ეს მშვენივრად იცოდა.

ცოტა ხანს კიდევ და, პრეზიდენტის ხელისუფლება უსისხლოდ მოირღვეოდა, მაგრამ მოსკოვის „პუტჩმა" ჩვენთან მოვლენები დააჩქარა; „სუბიექტივიზმის ტყუილმა" პრეზიდენტის ხელისუფლების სფეროში მოულოდნელად და მწვავედ იჩინა თავი, რამაც კატასტროფის წინაშე დააყენა ქართველობა.

ნიშანდობლივია, რომ ვინაც და რამაც განსაზღვრა შეიარაღებული დაპირისპირება პრეზიდენტის ხელისუფლებასთან—ოპოზიციის პოლიტიკურ პარტიებს და ორგანიზაციებს არ ეკუთვნოდა. ეს იყო პრეზიდენტის ხელისუფლების სფეროშივე აღჩენილი უკმაყოფილო, დაპირისპირებული ძალა. 1991 წლის ოქტომბრისთვის პოლიტიკური ოპოზიციის, პრეზიდენტის ხელისუფლების სფეროდან გამოცალკავებული დაპირისპირებული სამხედრო ძალის და პრეზიდენტის მმართველობის სტილით უკმაყოფილო საზოგადოების დაკავშირება ხდებოდა თანდათან და თავისთავად. შინაარსობრივად და მიზნობრივად განსხვავებული ოპოზიციური მხარეები შეაკავშირა საერთო უკმაყოფილებამ, გამოწვეულმა პრეზიდენტის ხელისუფლების სულ უფრო მზარდი შეცდომებით საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. და მაინც, რომ არა თვით ხელისუფლებიდან გამოცალკავებული შეიარაღებული ძალა, პრეზიდენტის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირება არ გადაიზრდებოდა თანამოძმეთა სისხლისმღვრელ ჯახში. დაპირისპირებული სამხედრო ძალა თენგიზ კიტოვანის მესვეურობით თავდაპირველად მოქმედებდა იზოლირებულად; მაგრამ, თანდათან, თენგიზ კიტოვანთან თავშეფარებული თენგიზ სიგუას (როგორც სამოქალაქო პირის და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლის) თაოსნობითა და მეოხებით, სამხედრო დაპირისპირება სახალხო ამბოხში გადაიზარდა.

ფაქტია, რომ 2 სექტემბრიდან მომდინარე ყველა მომენტი, რომელმაც განაპირობა თანამოძმეთა შორის საზარელი სისხლისღვრა, დასაბამს პოულობს პრეზიდენტის მმართველობის სფეროში. მოახლოებული კატასტროფის განმუხტვა შეეძლო მხოლოდ პრეზიდენტს: ჯერ 2 სექტემბერს, კინოს სახლთან სამასკაციან [illegible] „ომონის" [illegible] ადამიანურად დარბევის ფაქტი რომ გამოეძია და დამნაშავენი (განსაკუთრებით კი პირველი სროლის ავტორი) დაესაჯა; მერე ოქტომბერშიც, კინოსტუდიაში და ტელედეპარტამენტში ამტყდარ კურიოზულ მოვლენებთან დაკავშირებით, მართებული გადაწყვეტილება რომ მიეღო; და ბოლოს, 22 დეკემბერს, გადამდგარიყო ან, სულაც, ავადმყოფობის მომიზეზებით, დროებით მაინც გადაეცა მართვის სადავეები პარლამენტისთვის. პრეზიდენტის ყველაზე დიდი, გადამწყვეტი შეცდომა სწორედ ის იყო, რომ, მოახლოებული სახალხო კატასტროფის წინაშე ზნეობრივი სიმართლით ვერ ამაღლდა პოლიტიკურ ამბიციაზე.

ცხადია, „ცენტრის" ხელი ერია ამ კატასტროფის მომწიფებაში. რა მაჯლაჯუნაც გვითრევს ფსკერისკენ „რეაქციული რუსეთის" სახით — ამაზე მითქვამს არაერთხელ; ამჟამად კი ესეც უნდა ვთქვა: ჩვენს ჩაძირვას, ბევრწილად, ჩვენივე მოუგვარებლობა და სიბეცე აპირობებს. იმ კონკრეტულ შემთხვევაშიც, რუსეთის ჯარის იარაღით და ტყვია-წამლით მარაგდებოდა ორივე დაპირისპირებული მხარე, — და მაინც. გარეშე მტრის ვერავითარი სიავე ვერ ამართლებს თანამოძმეთა ერთმანეთის სასიკვდილოდ გამეტებას და, მით უმეტეს, პრეზიდენტის ჩართვას ასეთ სისხლისმღვრელ ჯახში.

• • •

ქართველობის წინაშე გადარჩენის საკითხი სწორედ დეკემბრ-იანვრის კატასტროფამ დააყენა, — არა მხოლოდ თანამოძმეთა შორის საზარელი სისხლისღვრის, არამედ, უპირატესად, იმის გამო, რომ მან ზღვარი ვერ დაუდო „სუბიექტივიზმის ტყუილს". წესით, კატასტროფამ, ღრმად ტრაგიკულმა მოვლენამ, უნდა შეძრას ადამიანი, ანუ, უნდა „გამოაფხიზლოს", გარკვეულწილად მაინც, უნდა შეცვალოს შეფასებითი მიმართებები საკუთარი თავისა და გარემოსადმი. თუ რატომ ვერ მოხდა ასე საკუთრივ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეს ცალკე მსჯელობის საგანია. უკვე იანვრის მიწურულისთვის მიმდინარე მოვლენებმა ცხადყო, რომ ორივე მხრიდან შლეგ ვნებათა შეხლა-შემოხლას და მოთავეთა გმირულ შემართებას არავითარი კავშირი არ ჰქონია „საქართველოს იდეასთან".

„სუბიექტივიზმის ტყუილმა" სამხედრო საბჭოს მმართველობის პირველივე დღეებიდან იძალა და თავიდანვე სამომავლოდ სავალალო შეცდომები დააშვებინა (დაწყებული სულ უბრალო თანამდებობების დიქტატორულ-ძალადური გადაწყვეტილებით და დამთავრებული სახელმწიფო მართვის უუნარობით). სამხედრო საბჭოს პოლიტიკამ მხოლოდ ის მოახერხა, რომ „ზვიადისტები" თავიანთ მცდარ პოზიციაში განამტკიცა და, ვინც მანამდე მერყეობდა პრეზიდენტის მმართველობის შეფასებაში, ისიც „გაზვიადისტა"; სულ უფრო აშკარა ხდებოდა შესაძლებლობა დაპირისპირებულ თანამოძმეთა შორის ხელახალი და უწინდელზე დაუნდობელი, გაცილებით მასშტაბური შეჯახებისა.

საქართველოში არ ჩანდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა, რომელიც შეძლებდა დაძაბულობის განმუხტვას. სწორედ მაშინ მომწიფდა აზრი ედუარდ შევარდნაძისადმი თხოვნით მიმართვისა.

ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლამ, მისმა პიროვნულმა გავლენამ, მართლაც, განმუხტა ავის მომასწავებელი დაძაბულობა და ურთიერთმოძულე მხარეებს შორის „დიალოგის" მეთოდით სიმართლის გარკვევისა და შეთანხმების გზაც დასახა.

მთავარი იყო ლეგიტიმური ხელისუფლებისა და, მისი მეშვეობით, სახელმწიფო მართვის სტრუქტურების სასწრაფოდ დადგენა, რათა საქართველოს კანონიერუფლებრივი წინააღმდეგობის გაწევა შეძლებოდა ჩვენი ჩამძირველი „ეთნოკონფლიქტური აფეთქებების" და რუსეთის პროვოკაციული აქციების გასანეიტრალებლად. ამ მიზნის აღსასრულებლად, ედუარდ შევარდნაძე თვით ყველაზე უკადრისსაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „თავში წამორტყმასაც" იტანდა. ის შიშველი ხელებით ჩაერთო „სუბიექტივიზმის ტყუილით" დაბრმავებულ და შეიარაღებული ძალებით მორჭმულ დაპირისპირებულ მხარეთა, ანარქიზმის ნიშნით მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში და, როგორც პოლიტიკოსს, მიზნის აღსასრულებლად, უკადრისიც უნდა აეტანა.

მთელი წლის მანძილზე მას იყენებდნენ ხან „შირმად", ხან მსოფლიო პოლიტიკის თვალში საქართველოს შიდა მდგომარეობის გამაპატიოსნებლად, ხან საზღვარგარეთიდან ჰუმანიტარული დახმარებების შთხოვნელად, ხან არჩევნების მომწყობად და, ბოლოს, როდესაც, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება დადგინდა, როდესაც ძალაუფლების კონცენტრირება ხელისუფლების ხელით უნდა მომხდარიყო, ეს უკვე ბევრზე ბევრს აღარ მოეწონა: ეს უკვე მოასწავებდა „სუბიექტივიზმის ტყუილის" მსახურთა განიარაღებას.

ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკა იქცა ერთგვარ კატალიზატორად, რომელმაც ხალხის თვალში აშკარა გახადა, რომ, წლების მანძილზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების წარმმართველ სხვადასხვა მხარეებს, საქართველოს გადარჩენის კი არა, პირადი ძალაუფლების, პირადი მდგომარეობის ინტერესები ამოძრავებდა.

• • •

საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მომრღვევი, „სუბიექტივიზმის ტყუილის" ნიშნით მიმდინარე პროცესები აკნინებს და ამცირებს რუსეთის იმპერიის მარწუხებიდან საქართველოს რეალურად თავდახსნის შესაძლებლობას. ეს ავბედითი პროცესები ბევრწილად აპირობებს საქართველოს ხელისუფლების იძულებით კომპრომისებს რუსეთის იმპერიის წინაშე და ჩვენთვის აგრერიგად არასასურველ „ღრმად ჩართვას" რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეში.

საქართველო რანაირად უნდა აღუდგეს წინ რუსეთის იმპერიის ექსპანსიას, როდესაც რეალური სახელმწიფოებრიობა და რეალური ძალაუფლებით მორჭმული ხელისუფლება არ გააჩნია.

ვგონებ, საკმარისია ხალხის მოტყუება არარსებულის დაჩემებით. დროა, საჯაროდ ვაღიაროთ:

ტყუილია, თითქოს საქართველო რეალური სახელმწიფოა თავისი რეალური საზღვრებით და სახელმწიფოებრივად დადგენილდაცული მოსახლეობით; საქართველო და მისი მოსახლეობა, ჯერჯერობით, ფორმალურად, მხოლოდ ბეჭედდასმულ ქაღალდზე არსებობს. ტყუილია, თითქოს ქართველობას ძალაუფლებამოსილი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ჰყავს; ტყუილია, თითქოს სამართალდამცავ ორგანოებს ძალუძთ სამართლის დაცვა და სახელმწიფო დანაშაულის გატანა სამსჯავროზე; ტყუილი მეფობს ქვეყნის ეკონომიკის და იდეოლოგიის დონეზე; ტყუილია, თითქოს რომელიმე შრომით-სამოღვაწეო სფეროში, ეროვნული მოძრაობის აზვირთებიდან დღევანდლამდე (მთელი შვიდი წლის მანძილზე) ოდნავ მაინც გაპატიოსნდა საქმე, — პირიქით, — ყველგან, ყველა სფეროში და ყველა დონეზე, საქმე მხოლოდ გაუარესდა და მოირღვა; და ყველაზე დიდი ტყუილია, თითქოს ჩვენში დემოკრატიზმი ცხოვრებაში ტარდება: დემოკრატიზმის პრინციპები, ჯერჯერობით, მხოლოდ პარლამენტის სხდომებზე ტარდება და, იქაც, ბორძიკ-ბორძიკ და არასრულად,

(დასასრული მე-4 გვ.)

დედაქალაქში წესრიგის დასამყარებლად

თბილისში შექმნილი უწესრიგობის, განუკითხაობის და [illegible] კრიმინოგენული ვითარების გამო, სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებით, თებერვლიდან დედაქალაქში პატრულირება დაიწყეს შინაგანი ჯა[illegible] და თბილისის [illegible] რაიონის ცალკეული საპატრულო ასეულის პოლიციელებმა, რომლებიც გააკონტროლებენ და დედაქალაქის ყველა უბანში დაიცავენ წესრიგს.

ნოდარ ჭიუკაშვილის ფოტო (შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი).

მოდით, ვთქვათ: — „მშვიდობით, იარაღო!"

27-28 იანვარს საქართველოს პარლამენტი იხილავდა კანონპროექტს „იარაღის შესახებ". დეპუტატების ნაწილი მხარს უჭერს მოსახლეობაში ცეცხლსასროლი იარაღის შენახვას, იმ მოტივით, რომ თითქოს მოსახლეობისათვის მისი ჩამორთმევა შეუძლებელია.

ვიდრე აღნიშნულ კანონპროექტს მიიღებს პარლამენტი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, საზოგადოებრივი აზრი, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა მკაცრი კანონი არსებობდა ამ საკითხზე, მარტო სანადირო გლუვლულიანი თოფების არასწორი შენახვისა და გაუფრთხილებელი გასროლის შედეგად ასობით ადამიანი იხოცებოდა. ამას თუ დავამატებთ გასამხედროებულ ფორმირებებში შემთხვევითი გასროლის შედეგად ახალგაზრდების სიკვდილის შემთხვევებს, დამაფიქრებელი სტატისტიკის წინაშე დავდგებით. თუ მოსახლეობაში იარაღის ტარება ნებადართული იქნება, ვფიქრობ, ეს ბევრ გაუთვალისწინებელ შედეგს მოგვიტანს. მით უმეტეს, დღევანდელ გართულებულ კრიმინოგენულ ვითარებაში.

სარედაქციო ფოსტიდან

ვფიქრობთ, მეტი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ ამ საჭირბოროტო საკითხს.

ის აზრი, რომ, მოსახლეობისათვის იარაღის ჩამორთმევა შეუძლებელია, არასწორად მიმაჩნია. ეს პრობლემა მოსახლეობამ და პოლიციამ ერთობლივი ძალისხმევით უნდა გადაჭრან.

სახელმწიფო მზად არის, შეისყიდოს მოსახლეობისაგან იარაღი. ამაზე მეტი დათმობა წარმოუდგენელია. ჩემი აზრით, იმ შესასყიდი ფულის ნაწილი, სჯობს პოლიციის იმ მუშაკებს მივცეთ, რომლებიც ამ იარაღს ამოიღებენ.

ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა მივიდეთ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ვთქვათ: „მშვიდობით, იარაღო!"

ალექსანდრე ბუნელაური,
მილიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, შსს დამსახურებული მუშაკი.

სიტყვა უკან წაიღეს

გუდაუთის რაიონის ზოგიერთი სოფლიდან ამ დღეებში გამოყვანილი ლტოლვილები ამბობენ, რომ ქართველთა მიერ მიტოვებული სახლების კარებზე გაჩნდა ფირნიშები აფხაზთა გვარებით. ეს თვალის ასახვევად კეთდება, რათა ისინი დაიკავონ „მოხალისეებმა", რომლებსაც გუდაუთის ხელმძღვანელობა დაუფიქრებლად შეპირდა სამხედრო დახმარების ჯილდოდ. ახლა, როგორც ჩანს, იძულებული არიან, სიტყვა უკან წაიღონ: ამ მომხიბლავ სატყუარაზე ყოფილი კავშირის სხვადასხვა რეგიონიდან ხომ იმდენი უსახლკარო მაწანწალა და ლოთი ჩამოვიდა, რომ, თუ ისინი ამ სახლებში ჩაასახლეს, გუდაუთელი აფხაზები მათში გაითქვიფებიან.

უმაღლესი სკოლა

ორპროფილიანობა მომავლის განათლებაა

დღევანდელი ჩვენი „გარდამავალი" ცხოვრება უკვე გვიმტკიცებს, რა დიდი, ზოგჯერ პირველხარისხოვანი, მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდის ენობრივი მომზადების დონეს თანამედროვე სპეციალისტის მომზადებაში. ხვალ ეს მნიშვნელობა უფრო ამაღლდება, ზეგ კი ენობრივი შეზღუდულობა, გამიჯნულობა საერთოდ ძვირად დაუჯდება პიროვნებასაც და საზოგადოებასაც.

ათეული წლების განმავლობაში სკოლა ბევრ დროსა და სახსრებს ახარჯავდა მოზარდთა ენობრივ განათლებას. შედეგი კი უმნიშვნელო იყო და არის. რატომ? იქნებ გავბედოთ და ვთქვათ — მთავარი სხვა რამ იყო. ჯერ ერთი, — ცხოვრების სულისკვეთება იყო, (და ჯერაც არის) ისეთი, რომ საზოგადოებას საერთოდ არ სჭირდებოდა მცოდნე, განათლებული პიროვნება.

მეორე. ცხოვრების ქერქოზე მოქცეულმა მოზეიმე უვიცობამ და ყანწის მამულიშვილობამ საკუთარი უბადრუკობისა და ეგოისტური მიზნების დასაფარავად მეთოდურად, სხვის გრძნობებზე თამაშით დაიწყეს იმ „თეორიის" დანერგვა, რომ რაღაც განსაკუთრებული მოსაზრების გამო ქართველ კაცს მხოლოდ ქართული ენის ცოდნაც ეყოფა. ამ „სუპერპატრიოტულმა მოძღვრებამ" ლოგიკურად მიგვიყვანა იქამდე, რომ სრულიად ქართული (ე. ი. ნორმატიული) ენის ცოდნაც ერთგვარ ფუფუნებად იქნა მიჩნეული და პიროვნების ენობრივი განათლება დავიდა იმ დიალექტამდე, რომლის წიაღშიაც დაიბადა და ამეტყველდა ეს პიროვნება. უფრო მეტიც, — მშობლიური ენის სამეტყველო და წერითი ნორმების ცოდნა ჩაითვალა მხოლოდ საგნის მასწავლებელთა მოვალეობად, სხვები კი იოლად იმართლებდნენ თავს — რას გვერჩით, ჩვენ ხომ ფილოლოგები არა ვართო.

მშობლიური ენის რიგიანი ცოდნის ერთგვარმა დაუფასებლობამ განაპირობა მეორე (ინგლისური, გერმანული, რუსული და სხვა) ენის შესწავლის აუცილებლობის უარყოფა, თუმცა გარეგნულად ყველაფერი რიგზე იყო.

შედეგად გვაქვს ის, რაც გვაქვს — სანთლით არის საძებნელი მაღალი კვალიფიკაციის სტილისტი, მთარგმნელი, მასწავლებელი, მკვლევარი, რომელიც თავს გაართმევს პრობლემის ირგვლივ არსებულ ორენოვან მასალას.

ენობრივი განათლება მარტო ენების ცოდნა არ არის. ეს მსოფლგაგებისა და აზროვნების შესაძლებლობათა გაფართოებაა, ადამიანთა ურთიერთობის სკოლაა.

ალბათ, დადგა დრო მთელი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მივხედოთ მოზარდი თაობების ენობრივ განათლებას პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესთა გათვალისწინებით. მშვიდად, მოჭარბებული ემოციების გარეშე, ლოგიკის მოშველიებით ავწონ-დავწონოთ, რის ცოდნა დასჭირდება საქართველოს მოქალაქეს ხუთი, ათი, ოცი წლის შემდეგ და აქედანვე დავიწყოთ ამ ცოდნის დანერგვა.

მოზარდებმა ნამდვილად, პრაქტიკულად უნდა იცოდნენ მშობლიურის გარდა (დედაენის რიგიანი ცოდნა ყველა პროფესიის კაცისათვის სავალდებულოა) თუნდაც ერთი უცხო ენა. ეს არც ისე ძნელია, როგორც ბევრს ეჩვენება. მიზნის ქონა და მონდომებაა საჭირო. უცხო ენის შესწავლა თვითმიზანი არ უნდა იყოს. ენას გამოყენების სფერო უნდა ჰქონდეს პიროვნებისა და საზოგადოების ცხოვრება საქმიანობაში. მაშინ იქნება გამართლებული სწავლაზე დახარჯული დრო და ენერგია.

საქართველოში რუსული ენის სწავლების საქმეში დიდი ხნის განმავლობაში უკიდურესი პროტექციონიზმი იყო გამეფებული და ამ ენის მნიშვნელობა (რის უარყოფაც არ შეიძლება) შეფასებული იყო გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე რეალობა მოითხოვდა. ბოლო ხანს მეორე უკიდურესობამ იჩინა თავი — გაუმართლებელმა ნიჰილიზმმა. ორივე უკიდურესობა თანაბრად საზიანოა და მიუღებელი.

რეალობას ვერ გავექცევით: ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობა განაპირობებს რუსული ენის ცოდნის აუცილებლობას. საქართველოს ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის ორი მესამედი რუსულ ენაზეა. უგუნურობა იქნებოდა ამ განძის ერთი ხელის მოსმით დამუნჯება და გაუქმება, ვიდრე სხვა, ტოლფასოვანი შემცვლელი არ გამოჩენილა. ამას კი წინდახედული და გააზრებული მომზადება უნდა.

ანგარიშგასაწევია რუსულენოვანი ინფორმაციის მნიშვნელობაც ჩვენს საგარეო და საშინაო საქმიანობაში.

თითქოს მდგომარეობა ლოგიკის ჩარჩოებში ჯდება — რუსული ენა, როგორც ერთ-ერთი უცხო ენა, მისი მნიშვნელობის შესაფერის ადგილს იკავებს ჩვენი ახალგაზრდობის ენობრივ განათლებაში ყოველგვარი ხაზგასმულობისა და [illegible] გარეშე. ასეთი მიდგომა აისახა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განცხადებაში „მომავალი მისაღები გამოცდების შესახებ („საქართველოს რესპუბლიკა", 20.XI.92).

საქმის კიდევ ერთი მხარე: არსებობს ქართულ-რუსულ ურთიერთობათა ამსახველი უზარმაზარი მასალა. ათეული წლების მანძილზე ამ მასალის [illegible] ხდებოდა [illegible], ფაქტების [illegible] და მათი [illegible] გაყალბებით. ვინ შეძლებს ამ გამრუდებული გზის [illegible]? ვინ მოახერხებს ამ ზღვა მასალის ახლებურად [illegible], მეცნიერულ გაანალიზებას და მიჩქმალული სიმართლის [illegible] გამოტანას? ამისათვის [illegible] მომზადებისა და კვალიფიკაციის კადრებია საჭირო.

ამ პრობლემის დადებითად გადაწყვეტას [illegible] შეუწყოს ხელი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის [illegible] უნივერსიტეტში შემოღებულმა ახალმა სპეციალობამ „რუსული ენა და ლიტერატურა, ქართული ენა და ლიტერატურა".

იგულისხმება, რომ ამ ორპროფილიან სპეციალობას დაუფლებულ პიროვნებას საშუალება და უფლება ექნება იღვაწოს როგორც პედაგოგიურ ასპარეზზე (ორივე ენის სწავლების მიზნით), ისე სამეცნიერო-კვლევითი დარგში. ასეთი მუშაობა ახლებურ [illegible] შეიძენს და მრავალ სასიკეთო კორექტივს შეიტანს იმ დოგმებში, რომლებიც დაჟინებითა და აქსიომატურად ინერგებოდა მრავალი ათეული წლის მანძილზე.

ეს დიდი, საინტერესო და საპატიო საქმე ელის მათ, ვისაც არ აშინებს სამეცნიერო-კვლევითი ძიება, ვინც გაიგებს, რა საშვილიშვილო და მნიშვნელოვან საქმეს ჰკიდებს ხელს.

ორპროფილიანი განათლება ხომ მომავლის განათლებაა.

გიორგი წიბახაშვილი.

მოწვეულია მეორე საგანგებო კონფერენცია

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათათბიროს განცხადება

საქართველოში შექმნილი უმწვავესი ეროვნულ-პოლიტიკური მდგომარეობისა და საერთო კრიზისული სიტუაციის დაძლევის, ერისა და ქვეყნის გადარჩენისა და შექმნილი სავალალო ვითარებიდან გამოყვანის მიზნით და, საერთოდ, საქართველოს სრულფასოვან თავისუფალ, დამოუკიდებელ და ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების კონკრეტული გზების დასახვისათვის **1993 წლის 21 თებერვალს, კვირას, საქართველოს დედაქალაქში, ფილარმონიის სახელმწიფო დარბაზში გაიმართება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე საგანგებო კონფერენცია.** ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე საგანგებო კონფერენცია იმსჯელებს უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ საკითხებზე და მიიღებს რეზოლუციებს საქართველოს სრული და უპირობო დეოკუპაციის, ადამიანის უფლებების დაცვის, ეროვნული თანხმობისა და შერიგების, კავკასიელ ერთა და ხალხთა მეგობრობის შესახებ. კონფერენციაზე მიღებულ იქნება მიმართვები ქართველი ერისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობისადმი, მსოფლიოს ერებისა და ხალხებისადმი.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე საგანგებო კონფერენციაზე მოწვეულნი არიან: საქართველოს უკლებლივ ყველა პოლიტიკური პარტია, ორგანიზაცია და საზოგადოებრივი გაერთიანება, როგორც სათათბიროში შემავალი, ასევე ყველა დანარჩენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალები, საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა სრული კორპუსი, მინისტრთა კაბინეტის და თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების საბჭო სრული პერსონალური შემადგენლობით, სახელმწიფო მეთაური და პრემიერ-მინისტრი; თავდაცვის სამინისტროსა და ეროვნული გვარდიის სარდლობა და ხელმძღვანელობა; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდი, მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და საქართველოს შემოქმედებითი კავშირებისა და გაერთიანებების წარმომადგენლები.

მოსაწვევები აღნიშნული ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად გაიცემა სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათსა და პარასკევს — 16, 17, 18 და 19 თებერვალს, 12-დან 18 სთ-მდე, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბბინაში. მისამართი — თბილისი, სოლოლაკი, მაჩაბლის ქუჩა №8, პირველი სართული. ტელეფონი: 93-27-70, 93-56-85.

საქართველოს მთავარ სამხედრო პროკურატურაში

განუკითხაობას ბოლო უნდა მოეღოს

ზურაბ აბდუშელიშვილი, თენგიზ პირველაშვილი.
საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრის ჯგუფის პროკურორები.

ამ დღეებში საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სამხედრო პროკურატურაში გაიმართა თათბირი, რომლის მონაწილეებმა პრინციპულად და პიროვნულად იმსჯელეს იმაზე, თუ როგორ უნდა დამყარდეს წესრიგი და დისციპლინა ეროვნულ გვარდიასა და სხვა შეიარაღებულ ფორმირებებში, რომელთა ბევრი წარმომადგენელი შეუერთდა დამნაშავეთა სამყაროს. ეს შეიარაღებული პირები მისდევენ ნარკომანიასა და ლოთობას, ჩადიან მკვლელობას, ძარცვას, ყაჩაღობას და სხვა ავაზაკურ ქმედებებს, რაც საზოგადოების კანონიერ აღშფოთებას იწვევს. ამას ემატება ისიც, რომ დანაშაულის ჩამდენ პირებს ხშირად გამოექომაგებიან და ხელს აფარებენ, სასჯელისაგან ათავისუფლებენ თავიანთი უფროსები და მეგობრები. ეს კი დაუსჯელობის ატმოსფეროს ქმნის.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, სამხედრო პოლიციის, პროკურატურის რესპუბლიკური და ადგილობრივი რგოლის ხელმძღვანელი მუშაკები. რესპუბლიკის მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილეებმა გივი [illegible] და გივი ძაგანიამ თავიანთ ინფორმაციებში გააანალიზეს რთული, დაძაბული კრიმინოგენური ვითარების გამომწვევი მიზეზები, აღნიშნეს, რომ, თუ მდგომარეობა მკვეთრად არ შეიცვალა, ამას შეიძლება სოციალური აფეთქება და კატასტროფაც კი მოჰყვეს.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი, რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე ალექსანდრე შუშანაშვილი, რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ჯემალ ჭუმბურიძე, თბილისის სამხედრო პოლიციის საგამოძიებო განყოფილების უფროსი თენგიზ მუმლაძე, რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე თემურ მარგებაძე, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე დემურ მიქაძე, ქუთაისის სამხედრო პროკურორი თენგიზ ჯაყელი და სხვები.

ორატორებმა გადაუდებელ ამოცანად მიიჩნიეს, რომ სამხედრო პროკურატურებმა სამხედრო ხელმძღვანელებთან მჭიდრო კონტაქტით იმუშაონ, ჯარში დაუყოვნებლივ ჩატარდეს ატესტაცია — გაიწმინდოს იგი ლოთების, ნარკომანებისა და სხვა ჯურის დამნაშავეებისაგან.

ასეთია თათბირის მონაწილეთა ერთსულოვანი გულისთქმა

ჯარში სამსახური კეთილშობილი საქმე უნდა გახდეს, დროა სახელმწიფოებრივი წესრიგი დამყარდეს სამხედრო წოდებათა მინიჭებისას, მაღალი სამხედრო წოდებები არ უნდა ჩამოვურიგოთ არაპროფესიონალებსა და სამხედრო დილეტანტებს, რაც არცთუ იშვიათად ხდება.

აღინიშნა აგრეთვე, რომ სასწრაფოდ უნდა შემუშავდეს თავდაცვის სამინისტროს დებულება, სამხედრო წესდებები, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის წესები და საკანონმდებლო დოკუმენტები, დროა აიკრძალოს მოხალისეთა უშუალოდ ბატალიონებში ჩარიცხვა, რაც ამჟამად ხდება. უფრო მეტიც: ხდება ბატალიონიდან ბატალიონში თვითნებური გადასვლა მხოლოდ მებრძოლების მოპრიანებისა და ამ ბატალიონების მეთაურთა სურვილის მიხედვით.

ითქვა სხვა ნეგატიურ მოვლენებზე, რომლებსაც ეროვნულ გვარდიასა და შეიარაღებულ ფორმირებებში აქვს ადგილი. ბევრგან არა აქვთ ჯარისკაცთა ზუსტი აღრიცხვა, ასე გასინჯეთ, ჯარისკაცებს სამხედრო ბილეთებიც არ გააჩნიათ, ისინი ამავე დროს სარგებლობენ მეთაურთა უკონტროლობით, ყოველგვარი ნებართვის გარეშე ცეცხლსასროლი იარაღით გადიან დისლოკაციის ადგილებიდან, დაეხეტებიან ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ადვილად ეფლობიან დანაშაულის წუმპეში.

თათბირის მონაწილეებმა გადაჭრით მოითხოვეს ყოველგვარი შეიარაღებული ფორმირების აკრძალვა, რომლებსაც ვისაც მოეპრიანება ის ქმნის, ხოლო შემდეგ საკუთარი ბოროტი ზრახვის განსახორციელებლად იყენებს. დააყენეს აგრეთვე საკითხი, რომ მოხალისეთა ბატალიონებში მებრძოლებს მხოლოდ სამხედრო განყოფილებები უნდა რიცხავდნენ.

გვარდიელებისა და სხვა შეიარაღებული ფორმირებების წევრთა ფართო მასშტაბის დანაშაულებრივ ქმედებას თავიდან ავიცდენდით, — ითქვა თათბირზე, სამხედრო დანაყოფთა მეთაურები სათანადოდ რომ იცავდნენ მხედრულ და საშემსრულებლო დისციპლინას. სამხედრო დანაყოფებს არა აქვთ იარაღის შესანახი საცავები, რის გამოც სამხედრო მოსამსახურეები თან ატარებენ ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღს, პისტოლეტებს, ხელყუმბარებსა და სხვა საბრძოლო მასალებს, ასევე იქცევიან შვებულებაში ყოფნის დროსაც. იყო ასეთი შემთხვევებიც: სამხედრო დანაყოფები გაუქმდა, ხოლო მისი წარმომადგენლები კვლავ იარაღასხმული დანავარდობენ, რაც არ უნდა ხდებოდეს.

თათბირის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებას ქ. თბილისში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. აღნიშნეს, რომ იგი მარტო დედაქალაქს კი არა, მთელ საქართველოს ეხება და განუხრელად უნდა შესრულდეს, ამისთვის საჭიროა ყველას ერთობლივი ძალისხმევა — ერისაც და ბერისაც.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა თედო ნინიძემ. დაისახა ახლო ხანში წესრიგისა და დისციპლინის, ცხოვრების ნორმალური რიტმის აღდგენის ღონისძიებანი.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გვყავდეს ერთიანი რეგულარული ჯარი, მისი ერთიანი ხელმძღვანელობა, უნდა გვქონდეს ერთიანი სამხედრო კანონმდებლობა, რათა დამყარდეს მტკიცე, შეგნებული დისციპლინა. მაშინ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე არ დაემუქრება, — ასეთ ერთსულოვან სურვილსა და მისწრაფებას გამოხატავდა თათბირის ყველა მონაწილე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

კოსმოსში ადამიანს გაუშვებენ

ჩინეთი აქტიურად მუშაობს კოსმოსში ადამიანის გაშვების პროექტზე, ეს განაცხადა დღეს გაზეთ „ჩაინა დეილის" ფურცლებზე კოსმოსური ტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა ცი ფაჟენმა.

„შემდგომი საუკუნის დამდეგამდე დარჩენილ შვიდ წელიწადში ვაპირებთ ორბიტაზე გავიყვანოთ დედამიწის 20 ხელოვნური თანამგზავრი", — განაცხადა მან.

როგორც ცი ფაჟენმა თქვა, 2000 წლისათვის ჩინეთი გავა კოსმოსურ ტექნოლოგიათა მსოფლიო ბაზარზე საკუთარი ნამუშევრებით.

ლიტვის ახალი პრეზიდენტი

ალგირდას ბრაზაუსკასი არჩეულია ლიტვის პრეზიდენტად. კვირას შრომის დემოკრატიული პარტიის ლიდერს ხმა მისცა ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა. მოკლე ინტერვიუში ბრაზაუსკასმა განაცხადა, რომ როგორც პრეზიდენტი იგი ყველაფერს იღონებს იმისათვის, რათა ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან, აგრეთვე სხვა ქვეყნებთან განვითარდეს ურთიერთგაგებისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის სულისკვეთებით. მან აღნიშნა, რომ ლიტვას არავის მიმართ არა აქვს ტერიტორიული პრეტენზიები.

ხელისუფლების კრიზისი

„ჯოხარ დუდაევის მოქმედება ნათლად მოწმობს იმას, რომ იგი ვერ ართმევს თავს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ძირითად ფუნქციებს", — ასე განმარტა ჩეჩნეთში შექმნილი ხელისუფლების კრიზისი რესპუბლიკის პირველმა ვიცე-პრემიერმა იარაგი მამოდაევმა. კვირას გვიან საღამოს ადგილობრივი ტელევიზიით გამოსვლისას პარლამენტის ხუთმა წევრმა ბრალად დასდო პრეზიდენტ დუდაევს — ჩეჩნეთში ხელისუფლების უზურპირების მცდელობა და, არსებითად, სახელმწიფო გადატრიალების განხორციელება. დეპუტატები დარწმუნებული არიან, რომ ჯოხარ დუდაევის მიერ შეთავაზებული კონსტიტუციის ვარიანტი „რესპუბლიკაში ფაქტობრივად ამკვიდრებს პრეზიდენტის მმართველობას და ეს ყოველმხრივ მიუღებელია".

საზრისი

არის კი შანსი გადარჩენის?

(დასასრული).

უპირატესად ედუარდ შევარდნაძის მოქნილი პოლიტიკით და პიროვნული ძალისხმევით; რაც შეეხება ცხოვრებას, აქ უსაშინლესი ანარქიაა.

ამიტომაც, სიმწრის ღიმილს იწვევს ხალხში, როდესაც ესა თუ ის დეპუტატი ტელევიზიით გვაიმედებს: „ერთ-ორ წელიწადში ცხოვრება გამოკეთდება". ასეც იყოს (თუ დაგვცალდა მანამდე ყოფნა), ოღონდ — რა ძალით? რა გზით?... ზედაპირული დაპირებები ვერაფერი მოსაწონია. არც ისაა მოსაწონი, უსახსროდ შთენილი მშრომელი მოსახლეობის თვალწინ, საჯაროდ, ტელევიზიით, დეპუტატები აყალ-მაყალს რომ ტეხენ მათთვის დაწესებული ჯამაგირის (ზოგისთვის ისედაც დიდის და ზოგისთვისაც — სულაც მუქთის) მოსამატებლად; არც ის არის მოსაწონი, სამამულო ომის ჟამს ზოგიერთი პარლამენტარი ტურისტულ მოგზაურობაში რომ არხეინობს. კიდევ ბევრია პარლამენტშიც ამაზე დიდი „ტყუილიც"; და ასეთ ფონზე, ზოგი პარლამენტარი ედუარდ შევარდნაძეს რომ შესჩივლებს — რუსებს აგვაცილე და ვინმე სხვა პატრონი გაგვიჩინეო... საქმეა, ახლა, ეს?! ან ეს საქმეა: იქ, აფხაზეთში, ნაღდი ბიჭები სამშობლოსთვის სიცოცხლეს სწირავდნენ და აქ კი, ზურგში, უგნურების და ტყუილის ნიშნით ქვეყანას სწირავდნენ?!

აფერუმ ქართველი ხალხის ამტანობას! მართლაც რა გამძლე ჯიშისა ვყოფილვართ. რაებს გავუძელით. რაებს ვუძლებთ და, კიდევ რომ შეგვრჩა იმედოვნების ძალა და ადამიანური ცხოვრების სურვილი.— ამ პირობებშიც რომ შეგვრჩა გაძლებისა და სიმწრით გაღიმების უნარი. და ზოგი კიდევ აქეთ-იქიდან რომ გაიძახის — ხალხი არ ვარგაო. ხალხი კი არა, თვითონ არ ვარგა. მართალია, ხალხში ჭუჭყიცაა, მაგრამ ეს ჭუჭყი ზღვის პირზე მოდებული ქაფივითაა. ხალხი ზღვა არის და არა ქაფი. ხალხი არის ის ბიჭები, მართალი მრწამსით რომ იბრძვიან აფხაზეთში ქართველობის ღირსებისა და მამა-პაპისეული სამკვიდრებლის დასაცავად; ის პატიოსანი და საკუთარი შრომის მცნობი ექიმი თუ მექილი, ხელოვანი თუ მშენებელი, სტუდენტი თუ პენსიონერი, სხვადასხვა დაწესებულების სულ უბრალო რიგითი თანამშრომელი, ჩვენთვის უცნობი გლეხი და მუშა, — არა ერთი და ორი, არა ასი და ათასი, გაცილებით მეტი; და რამდენია კიდევ მოტყუებული, „სუბიექტივიზმის ტყუილის" მსახურ ზვიადისტებს და „ანტიზვიადისტებს" გულმინდობით აყოლილი. ხალხი — ეს არის! ხალხი არის! ჰოდა, ხალხი რად უნდა შეეწიროს მაგანთა გამოგონილ „იზმებს" და „ისტებს", მეძროვეთა შლეგ ამბიციებს, მომხვეჭელთა გაუმაძღრობას, ყველა ჯურის „ტყუილის" მსახურთა უგუნურებას და, საერთოდ, იმ ანარქიას, რომლითაც სწირავენ ხალხს.

ვინც არ იცის, მის შესაგონებლად ვამბობ: ანარქია ყველაზე მდაბიოა, ყველაზე საზარია იმ საქვეყნო ბოროტებათა შორის, რომელიც ხალხს სწირავს და ქვეყანას ძირავს.

ანარქიის ერთადერთი ალტერნატივა — სახელმწიფოებრიობაა. ანარქია უცილობლად თან მოჰყვება არსებული ხელისუფლების დამხობას. ანარქიამ სრულიად კანონზომიერად იჩინა თავი კომუნისტური ხელისუფლების დამხობის წინა დღეებში. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური ხელისუფლება მოკლე ვადაში შეცვალა საპრეზიდენტო მმართველობის ეროვნულმა ხელისუფლებამ — ანარქია არ შენელებულა; პირიქით, ანარქია მძაფრდებოდა.

ხალხი ირჩევს და ადგენს ხელისუფლებას იმისთვის, რომ ამ უკანასკნელმა შექმნას ისეთი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სამართალდამცავი სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც დაიცავს ხალხის სიცოცხლეს და კანონიერ ცხოვრებას. ხალხის მიერ ხელისუფლების არჩევა განპირობებულია ხალხის თვითდაცვის, უბედურებათაგან თვითდაზღვევის ლეიტმოტივით; და როდესაც ხალხი ირჩევს ხელისუფლებას და იგი ვერ უწესებს ხალხს კანონიერი ცხოვრების პირობებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება ვერ ქმნის სახელმწიფო ორგანიზმს. ასეთ დროს, როდესაც ხელისუფლება ვერ აშენებს სახელმწიფოს, ვერ ავლენს ხალხის ცხოვრების დამცველ-მომწესრიგებელ კანონიერებას და ძალას, თითოეულ ადამიანს ეკარგება ყოველგვარი ვალდებულების და პასუხისმგებლობის გრძნობა ხელისუფლების და თვით ქვეყნის წინაშე. დროსთან ერთად, ასეთ „პასუხისმგებლობამოხსნილ", შეიძლება ითქვას, „კანონგარეშე" ადამიანთა რიცხვი მატულობს, და ქვეყანას სულ უფრო იპყრობს ანარქია. პრეზიდენტის ხელისუფლებაც, როგორც მისივე მცდარი პოლიტიკის, ასევე „ცენტრის" პროვოკაციების მიზეზებით, ვერ შექმნა სახელმწიფო ორგანიზმი და ანარქიას ვერ დაუდო ზღვარი; მეტიც, პრეზიდენტის ხელისუფლება თავად იქცა ანარქიის გამაღვივებლად და ანარქიამ კიდევ დაამხო იგი.

1992 წლის ოქტომბერში, ლეგიტიმური ხელისუფლების არჩევნების ჟამს, გაჩნდა იმედი, რომ ახლო მომავალში ნელ-ნელა ზღვარი დაედებოდა ანარქიას; მაგრამ ფაქტია, რომ ანარქია გრძელდება.

მართალია, ამჟამინდელი ხელისუფლება თავისი ფრთხილი, მოქნილი პოლიტიკით, თანდათან, ძალღონეს იკრებს და ცდილობს სახელმწიფო სტრუქტურების კანონიერად ამოქმედებას; მაგრამ ეს, ჯერჯერობით, წვეთია ანარქიის აბობოქრებულ ზღვაში.

ანარქიას თუ მტკიცედ არ დაედო ზღვარი, მას აუცილებლად თან სდევს პერიოდული „რევოლუციური აფეთქებები", წამოწყებული ამა თუ იმ პოლიტიკური ავანტიურისტის მიერ. და რადგან ანარქიულ მდგომარეობაში ვიმყოფებით — ვდგავართ „რევოლუციური აფეთქებების" საფრთხის წინაშე.

გაუძლებს კი ქართველობა კვლავ „რევოლუციურ აფეთქებას?" დარჩება კი რაიმე საქართველოსგან მოსალოდნელი „აფეთქებების" შემდეგ?

ყველა ზემოთქმული და მრავალი სხვა ჩვენი საკუთარი აბეზღითი ვითარების გამო და, ამასთანავე, ბოლო ჟამს შექმნილ არასახარბიელო გარემო პირობებში, როდესაც რუსეთის იმპერიული ძალები არა მარტო ინფორმაციული და ეკონომიკური, არამედ სამხედრო იარაღითაც უხეშად გვიტევენ, ხოლო ევროპის დემოკრატიული სამყარო ერთგვარად გაუყუჩდა იმპერიის ურჩხულს კვდომის წინა „აგონიის სიგიჟეებს" (საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში) — შეიძლება ითქვას, რომ თეორიული შანსი ჩვენი „გადარჩენისა" ძალზე მცირეა.

გონივრულის, შესაძლებელის დონეზე გასააზრებელი თითქმის ყველა სასურველი წინაპირობა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენა-შენებისთვის, ანუ, თეორიული შანსები ქართველი ხალხის ეროვნული აღორძინებისა — უკვე კარგა ხანია რეალობად იქცა: კომპარტია დაემხო, საბჭოთა კავშირი დაიშალა, ეროვნული ხელისუფლება დამყარდა, გაერომ გვცნო, რუსეთმაც კი გვაღიარა, საზღვარგარეთი ჰუმანიტარულ დახმარებას გვიწევს და სხვა, არა ერთი და ორი, წინათ „საოცნებო სიტუაციაც" პრაქტიკულად განხორციელდა. მერე და, „რა ვაკეთეთ? —რას ვშვრებოდით?".. გასული სამი წლის მანძილზე ვერც ერთი ზემოთაღნიშნული ხელსაყრელი სიტუაცია მინიმალურადაც ვერ იქნა გამოყენებული საქართველოს ეკონომიკურ-საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოსაყალიბებლად. ქვეყნად „სუბიექტივიზმის ტყუილის" თარეშმა ქართველობას დააკარგვინა ძალზე მნიშვნელოვანი დრო, მთელი სამი წელიწადი, რომლის მანძილზე, მეტი სინდისი და გონიერება რომ ყოფილიყო, ორივე ფეხზე მყარად უნდა დავმდგარიყავით და მომავალ სიძნელეებს საკუთარ ოჯახში მოღონიერებულნი შევგებებოდით.

რა თქმა უნდა, ნაცარქექიებივით შეიძლება წავიოცნებოთ ახლა იმაზეც, ამერიკამ საქართველოს ჩრდილო საზღვრებთან ზარბაზნები გაამწკრივოს და რუსეთს დაექადნოს — საქართველოს შეეშვი, თორემ, აგაფეთქებო. შეიძლება იმაზეც წავიოცნებოთ — რუსეთის რეაქციული ძალები ივანუშკა-დურაჩოკებად იქცნენ და ყოველგვარი საზღაურის გარეშე მოგვაყარონ „რესურსები". ამის მსგავსი „თეორიული შანსების" დასახვა — ელემენტარული სიბრიყვეა.

ჩვენი „გადარჩენა" დღეისთვის იქცა საკუთარ შესაძლებლობათა პრაქტიკულ გამოვლენაზე და პრაქტიკული ქმედების გზაზე აღჩენილი „ბედნიერი შემთხვევების" გონივრულ, დროულ გამოყენებაზე დამოკიდებული.

არის კი ჩვენი აღრეული, გაბედითებული ცხოვრების სარბიელზე პრაქტიკული შანსი გადარჩენისა?

არის, კვლავაც არის — არა ერთი და ორი, თვით უნაღდესიც.

წერილის მომდევნო ნაწილში მე მხოლოდ ორ პრაქტიკულ შანსზე გავამახვილებ ყურადღებას. მე ასე მესახება, რომ ამ ორი, დღეისთვის ჯერჯერობით მკრთალი და ყველაზე მძლავრი შანსის რეალიზაციაზე არის დამოკიდებული საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღორძინებისთვის (ესე იგი, ჩვენი „გადარჩენისთვის") ჯერაც არსებული გზის გამოკვეთა და, მას შემდეგ, სამომავლო გზების დასახვაც.

დაზუსტება

„საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 1 კვარტალის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 28 იანვრის კანონის მე-14 მუხლში მეორე წინადადება უნდა იკითხებოდეს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1993 წლის 1 იანვრიდან რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, სახელმწიფო საბჭოს და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

სწავლა განახლდა

ზამთრის არდადეგების შემდეგ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა განახლდა. მიმზიდველი და იმავდროულად ძალზე ჩვეულებრივი სურათია — ახალგაზრდები ისევ მოედვნენ უნივერსიტეტის დერეფნებს, შეავსეს აუდიტორიები.

აპრილის ბოლოს თბილისის უნივერსიტეტში სტუდენტთა რესპუბლიკური კონფერენცია გაიმართება. იგი საიუბილეოა და უნივერსიტეტის დაარსების 75 წლისთავს ეძღვნება.

კეთილ მასპინძლობას უწევენ

აფხაზეთიდან ლტოლვილებს კეთილ მასპინძლობას უწევენ ამბროლაურის რაიონის სოფლების — ლიხეთის, ურავის, ნიკორწმინდის, ბოსტანას, წესის, სადმელის, ქედისუბნის მშრომელები. რაიონში სულ 700-მდე ლტოლვილია, რომლებიც იღებენ ყოველთვიურ ფულად დახმარებას. გარდა ამისა, მათ ურიგდებათ მოსახლეობისგან მიღებული ფულადი შემოწირულობანი, შაქარი, პური, თბილი ტანსაცმელი.

გულთბილად მიიღეს აფხაზეთიდან ლტოლვილები ხარაგაულის რაიონშიც. როგორც ხარაგაულის რაიონის გამგეობის შრომისა და სოციალური დაცვის განყოფილების გამგემ ლია ლომსაძემ თქვა, რაიონში შეუფერხებლად გაიცა პენსიები. ლტოლვილებს სახელმწიფო ფასებით მიეყიდებათ პურის ფქვილი, ბრინჯი, შაქარი.

ახალი წიგნი

„გზა გოლგოთისაკენ"

გამომცემლობა „მერანმა" დასტამბა თვალსაჩინო ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის რევაზ ჯაფარიძის წიგნი „გზა გოლგოთისაკენ". თავისი მხატვრული ფორმით ნაწარმოები პროზის ყველა სხვა ჟანრზე უფრო რომანს უახლოვდება. მასში ავტორი მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე მახარობლების მოძღვრებაზე დაყრდნობით მხატვრული ხერხებით მოგვითხრობს იესო ქრისტეს მიწიერ ცხოვრებაზე. მიზანი ერთია — აღნიშნავს რევაზ ჯაფარიძე წიგნის წინასიტყვაობაში — ბიბლიური ისტორია მკითხველისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, ქრისტიანულ მოძღვრებას ახლა რომ ეწაფება, რათა მისი ცხოველმყოფელი იდეებით განიმსჭვალოს და ჰუმანური საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი გახდეს, უფრო მისაწვდომად, უფრო ხელშესახებად იქნეს მოწოდებული.

წიგნი დიდად დაეხმარება მკითხველს და განსაკუთრებით ახალგაზრდობას, სულიერი საუნჯის გამდიდრებაში.

მისი შეძენა შესაძლებელია გამომცემლობა „მერანის" საფირმო მაღაზია-სალონში.



დაგვეხმარებიან იაპონელი მეცნიერები

იაპონელმა ფიზიკოსებმა შექმნეს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მეცნიერთა დახმარების ფონდი. ცნობილმა მეცნიერმა ქ. ჰუსიმიმ წერილი გამოუგზავნა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს, რომელშიც იუწყება, რომ ფონდი აპირებს დაეხმაროს ჩვენს რესპუბლიკასაც.

— ქ. ჰუსიმის შევხვდი ქალაქ ნაგოიაში, სადაც პლაზმური ასტროფიზიკის სპეციალისტები შეიკრიბნენ, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორმა აკადემიკოსმა **ჯუმბერ ლომინაძემ**. — სხვა ფიზიკოსებთან ერთად იგი სპეციალურად ჩამოვიდა ტოკიოდან, რათა განეხილა ამ დახმარების ზოგიერთი ასპექტი. იაპონელ მკვლევრებთან ჩვენ დიდი ხნის ურთიერთობა გვაკავშირებს. ეს არა მარტო ინფორმაციის, არამედ სპეციალისტების გაცვლასაც ითვალისწინებს. წელიწად-ნახევარია იაპონიაში მუშაობს პროფესორ ჯ. საკაისთან ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი ბიძინა ჩარგეიშვილი, რომელმაც კონკურსში გაიმარჯვა. ამ ქვეყანაში მისი ყოფნის ეფექტიანობას მოწმობს ის ფაქტი, რომ იაპონელმა მეცნიერმა მაცნობა 1994 წელს თქვენს რესპუბლიკას მეცნიერის კიდევ ერთ ადგილს გამოვუყოფთო.

ალა ქიქოძე.

დიდთოვლობა საქართველოში

14 თებერვალს ღამით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოთოვა. 15 თებერვალს დილისათვის თბილისში თოვლის საფარის სისქემ 15 სანტიმეტრს მიაღწია, გოდერძისა და ჯვრის უღელტეხილების რაიონებში კი — შესაბამისად სამ და ორ მეტრს. თოვლმა გაართულა საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრაობა. წიფაში, მაგალითად, თოვლის საფარის სისქემ მიაღწია 132, ხაშურში კი — 60 სანტიმეტრს.

— უახლოეს დღეებში ნალექები შეწყდება დასავლეთ საქართველოს რაიონებში, მაგრამ აღინიშნება აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონში, აქ მოსალოდნელია ქარის გაძლიერება — ალაგ-ალაგ წამში 15-20 მეტრამდე სიჩქარით, ღამით კი შავი ზღვის სანაპიროზე, უკვე არაფერს ვამბობთ მთიან რაიონებზე, მოსალოდნელია 5 გრადუსამდე ყინვა. ეციება დღისითაც. ჰაერის ტემპერატურა მოსალოდნელია მინუს 2 — პლუს 3 გრადუსის ფარგლებში.

კვლავ იქნება ყინვა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში. ღამით აქ მოსალოდნელია 7 გრადუსამდე ყინვა, დღისით კი — დაახლოებით 3 გრადუსი.

ეს ჩვენი საქართველოა!



თოვლიანი დილა.

სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო").

„ოქროს ვერძი" – საბურთალოზე

თბილისის „საბურთალოსა" და რუსთავის „გორდას" დრამატული ფინალით დედაქალაქის სპორტის სასახლეში ლამაზად დაგვირგვინდა „ოქროს ვერძის თასის გათამაშება" მინი-ფეხბურთში.

ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ვარლამ კილასონიასა და ვასილ მიქაშავიძის (იგი 11 ბურთით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა) მიერ გატანილი ორი გოლის შემდეგ რუსთაველები ტურნირის მთავარი პრიზის გარეშე დარჩებოდნენ, მაგრამ...

დარჩენილ მცირე დროში მასპინძლებმა (მწვრთნელი — სოსო ბარათაშვილი), იშვიათი ბრძოლისუნარიანობა და ჟინი გამოავლინეს და დავით ყიზილაშვილის ზუსტი დარტყმებით ანგარიში გაათანაბრეს — 2:2.

უმძაფრესი, მაგრამ უშედეგო დამატებითი დროის შემდეგ ყველაფერი პენალტებმა გადაწყვიტა. თავი გამოიჩინა საბურთალოელთა მეკარემ გიორგი ანასაშვილმა, რომელმაც აიღო გიორგი ღუდუშაურისა და ვარლამ კილასონიას დარტყმები, მისმა თანაგუნდელებმა კი ყველა პენალტი უნაკლოდ შეასრულეს და პირველობასთან ერთად, ტურნირის სპონსორის — შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტფილისის" (პრეზიდენტი — რამაზ დურგლიშვილი) ჯილდო — 250 000 მანეთი დაისაკუთრეს.. დამარცხებულებს 150 000 მანეთი გადაეცათ.

ორბურთიანი უპირატესობის შენარჩუნება ვერც მესამე ადგილისათვის გამართულ მატჩში დაწინაურებულმა თბილისის „ზოოვეტმა" შეძლო. მისმა რანგით უფროსმა მეტოქემ — თელავის „კახეთმა" 3 საპასუხო ბურთი გაიტანა და 100 000 მანეთი „ჩაიჯიბა".

ტურნირის უძლიერეს ფეხბურთელებს 5-5 ათასი მანეთი გადაეცათ. საუკეთესო მოთამაშედ ცნეს თელაველი დავით სოლოღაშვილი.

არანაკლებ საინტერესოდ წარიმართა 1980-1981 წლებში დაბადებულ მოზარდთა ასპარეზობა. ფინალში „მაისმა" (პრეზიდენტი მიხეილ ლოლაძე, მწვრთნელი — კოტე ჯალიაშვილი) დამატებით დროში დაამარცხა „ავაზა" — 2:1 და 25000 მანეთი მოიპოვა. მის მოწინააღმდეგეს 15 ათასი მანეთი ხვდა წილად. 10 000 მანეთით აღინიშნა მესამე პრიზიორის — „მთვარის გლობუსის" ოსტატობა. აღსანიშნავია, რომ ამასწინანდელი შეჯიბრების მსგავსად, ჩემპიონის ფეხბურთელი — გიორგი დეკანოსიძე კვლავ უძლიერესად მიიჩნიეს და 1000 მანეთით დასაჩუქრეს. ასეთივე ჯილდო დაიმსახურეს სხვა გამორჩეულმა ნორჩებმაც.

ვიმედოვნებთ, საქართველოს მინი-ფეხბურთის ასოციაცია (პრეზიდენტი — გურამ დურგლიშვილი) მომავალშიც არაერთ საინტერესო ტურნირს მიუძღვნის გულშემატკივრებს.

ჩოგანი

ვინ შეაჩერებს სტუ-ს?

ვერის პარკში მდებარე მიხეილ კაკილეიძის სახელობის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში დამთავრდა საქართველოს ქალთა ჩემპიონატის მორიგი ტური.

კვლავ დაუმარცხებლად — 12-დან 12 გამარჯვება — ასპარეზობს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი, რომელიც იოლად უსწორდება ნებისმიერ მეტოქეს. ლიდერის უპირატესობა თვალნათლივ დადასტურდა ბოლო დღის სატურნირო ცხრილში 10 მოგებით მეორე ადგილზე მყოფ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრაშიც, რომლის შედეგიც — 89:65 ყველაფერზე მეტყველებს. სტუ-ს ახალგაზრდა მწვრთნელის — ვლადიმერ შეხოვცევის გუნდში ამინდს ძირითადად კვლავ „ძველი გვარდიის" წარმომადგენლები — სირაძე, ლორია, ბუილიშვილი და კორკოტაძე ქმნიან.

ჩემპიონატი იმავე დარბაზში 5 მარტს განახლდება.

ჭადრაკის სამყაროში

ჩვენი ქვეყნის ქალთა ჩემპიონატის გამარჯვებული კოეფიციენტების ცხრილმა დაასახელა. 7 ქულით რესპუბლიკის ჩემპიონის ტიტული და 25000 მანეთი მოიპოვა ნინო ხურციძემ. დამატებითი მაჩვენებლების „წყალობით" ასეთივე შედეგით მეორე ადგილი და 15000 მანეთი ერგო მაია ლომინეიშვილს. 6,5 ქულით დაასრულა ტურნირი მესამე პრიზიორმა და 10 000 მანეთის მფლობელმა ინგა ხურცილავამ.

დასახელებული ტრიო საქართველოს სახელით იასპარეზებს მსოფლიო ჩემპიონატის ზონალურ ტურნირში.

• • •

წარუმატებლად დაიწყო მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი თბილისელმა დიდოსტატმა ნანა იოსელიანმა. მან მონტე-კარლოში 42-ე სვლაზე შავი ფიგურებით დათმო პირველი პარტია უნგრელ ჟუჟა პოლგართან.

• • •

ფენომენალურმა უნგრელმა გოგონამ, ივდით პოლგარმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ამბიციების საფუძვლიანობა. ბუდაპეშტში ვადამდე დასრულებული მისი და მსოფლიოს ექსჩემპიონის ბორის სპასკის საჩვენებელი მატჩის საბოლოო ანგარიშია 3:1 მასპინძლის სასარგებლოდ.

რეგლამენტით გათვალისწინებული უკანასკნელი, მეათე პარტიის გამართვა საჭირო აღარ გახდა. გამარჯვებულის „ნადავლმა" 120 000 დოლარი შეადგინა.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის გამგეობა

გ ა ც ნ ო ბ ე ბ თ

რომ მოქალაქეთა ფულადი დანაზოგების ინფლაციისაგან დაცვის მიზნით გამოშვებულია შემნახველი ბანკის **1000, 5000 და 10000 მანეთის ღირებულების სერთიფიკატები,** რომლებიც თავისუფლად იყიდება და მიიღება გასანაღდებლად შემნახველი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

სერთიფიკატები გამიზნულია ფულადი დანაზოგების **10 წლის ვადით** შენახვისათვის. ამ ვადის დაცვის შემთხვევაში თქვენი თანხა **ხუთმაგდება,** ე.ი. სერთიფიკატზე გაიცემა შემოსავალი წლიური განგარიშებიდან საშუალოდ **40%**-ის ოდენობით.

შემნახველი ბანკის სერთიფიკატი - ფასიანი ქაღალდია წარმომდგენზე, რომელიც შესანახად შეგიძლიათ მიაბაროთ შემნახველი ბანკის დაწესებულებებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკი გაძლევთ თქვენი ფულადი ოპერაციების ანონიმურობის გარანტიას.

დღეისათვის ხელზე არსებული შემნახველი ბანკის მიერ გაცემული ძველი ნიმუშის სერთიფიკატები უნდა გადაიცვალოს ახალ სერთიფიკატებზე 1993 წლის 15 მარტამდე.

ბანკის გამგეობა შეგახსენებთ, რომ 1991 წლის 1 მარტამდე გაცემულ სერთიფიკატებზე დარიცხულია **კომპენსაცია 40%** და გაკეთებულია **100%-იანი ინდექსაცია,** როგორც ძირითად, ასევე საკომპენსაციო თანხებზე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკი მომავალშიც იზრუნებს მაქსიმალურად დაიცვას თქვენი ანაბრები ინფლაციისაგან.

„მკურნალი" კურნავს

I კლ. საავადმყოფოს ბაზაზე არსებული კოოპერატივი „მკურნალი" კვლავ აგრძელებს მუშაობას, სადაც თანამედროვე მიღწევების დონეზე ხდება ავადმყოფთა გამოკვლევა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

ავადმყოფებს მოემსახურებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები: თერაპევტი, კარდიოლოგი, ნევროპათოლოგი, უროლოგი, ქირურგი, ენდოკრინოლოგი.

გამოკვლევები ტარდება თანამედროვე უცხოური აპარატებით. კეთდება რენტგენოგრაფია, რენტგენოსკოპია, ექოსკოპია, გასტროფიბროსკოპია, კლინიკურ-ბიოქიმიური ანალიზები.

კოოპერატივი მუშაობს ყოველდღე 14 სთ-დან; გამოკვლევები — 9 სთ-დან. შაბათს 10-დან 13 სთ-მდე.

ჩვენი მისამართია: წინანდლის ქ. 9.
I კლ. საავადმყოფო (მეტროს სადგური „300 არაგველი).
ტელეფონი: 74-47-75.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია სამძიმარს უცხადებს გაზეთ „სოფლის ცხოვრების" მთავარ რედაქტორს ბატონ ოთარ იოსელიანს დედის

სოფიო კანდელაკ-იოსელიანის

გარდაცვალების გამო.

კეფაში არა, შუბლში!

ფელეტონი

თენგიზ გოგოლაძე

ჩვენმა სახელმწიფომ თავისი უხვი კალთა დაიბერტყა და ხალხის ერთბაშად გამდიდრება გადაწყვიტა, ჩვენივე სახლ-კარი დაგვისაკუთრა და მამა-პაპური მიწა-წყალი დაგვინაწილა. მერე? მერე შუბლზე ხელი შემოვიდეთ და დავფიქრდით, პირველ რიგში, რა უნდა გავაკეთოთ, საკუთრებას მოვუაროთ თუ ავაზაკებისაგან დავიცვათ? ეს საქმე ისევ სახელმწიფომ ითავა და ბრძნულად გვიკარნახა — ჯერ დაიცავი და მერე მოუარეო.

დაცვა ცარიელი ხელებით ვინ გაიგონოა და აბა, იარაღიაც! მალე რკინა-კავეულის მაღაზიებში ბარის, თოხის, ფოცხის, კავისა და გუთნის ნაცვლად, თავისი ტყვია-წამლით გაიყიდება რევოლვერები. მერე და მერე, ალბათ, ავტომატებიც გამოჩნდება, ტყვიამფრქვევებიც, ზარბაზნებიც და... თქვენ წარმოიდგინეთ, კომპიუტერული სამართავდანადგარებიანი ტანკებიც.

საყოველთაო-სახალხო შეიარაღების დროს მარტო რკინა-კავეულის თითზე ჩამოსათვლელი მაღაზიები არ იკმარებს, ცხადია. ამიტომ, უამრავ რევოლვერს (არ ვიცი, რომელი ქვეყნიდან, რა ფასად და როგორ შემოიტანენ!) იმ მაღაზიებშიც გაყიდიან, სადაც უწინ გროშებად ვყიდულობდით კარაქს, ხორცს, შაქარს, ძეხვსა და ნამცხვარს... გაიყიდება აგრეთვე, უცხოური შოკოლადებით, ზიზილპიპილოებით აჭრელებული საქონლით გადაძეძგილ „ბუტკებშიც"...

რესპუბლიკის პარლამენტში გახურებული ბჭობა მიმდინარეობს, შეიარაღებული ხალხის განიარაღებისა და შეუიარაღებელთ შეიარაღებაზე... ახალი თავსატეხი გაგვიჩნდა, დღეს როგორ დავიცვათ თავი ბანდიტებად და ქურდებად ქცეულ ჩვენებურებისაგან! დეპუტატების ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ თავდაცვის მიზნით, ოჯახში საჭიროა იდოს ტყვის სასროლი იარაღი, მეორენი ამას სასტიკად უარყოფენ. თუ პირველებმა გაიმარჯვეს, მაშინ? მაშინ უნდა შევიძინოთ რევოლვერი საჭირო მარაგის ტყვია-წამლით.. იარაღი თუ შინ გექნება, თუნდაც სადღაც ღრმად მიმალულ-შეჩურთული, ანდა უჯრაში საიმედოდ ჩაკეტილი, ფიქრი ნუ გაქვს, რომ ვინმე შეგაწუხებს, ბანდიტის, ქურდისა და ავაზაკის თავდასხმისაგან დაზღვეული ხარ! რეგისტრირებული იარაღის მფლობელს ავი ზრახვით ვერ გაეკარებიან, ეცოდინებათ, რომ მათ განზრახვას წინ ცეცხლი გადაეღობება და აუცდენელი იქნება შუბლისკენ გაზუზუნებული ტყვია!

რეგისტრირებული რევოლვერი თუ შინ გექნება, შეგიძლია მშვიდად იძინო, ღამით ფანჯარაც კი დატოვო ღია.

მაგრამ იცოდე, საერთაშორისო კანონიდან გამომდინარე, რევოლვერის ხმარების უფლება მხოლოდ შენს საკუთარ ბინაში გეძლევა. ქურდს, ავაზაკს, ბანდიტს, ტყვია უთუოდ შუბლში უნდა აჭახო, პირით შენკენ მყოფს. თუ მოასწრო და შებრუნდა, გასაქცევად და კეფაში მოარტყი, მაშინ შავად გაგითენდება და ეგ არი, იარაღსაც ჩამოგართმევენ და ვირის აბანოშიც გიკრავენ თავს კაცის მკვლელისთვის. ღიახ, ასეა: ბანდიტი, ქურდი ავაზაკი თუ შეაშინე და გააქციე იგი უკვე აღარაა ბანდიტი, ქურდი და ავაზაკი, იგი შეშინებული ადამიანია კრავად ქცეული მგელი, და არ უნდა ესროლო. ჭკვიანი კი უნდა დასჭყივლო, რაც ძალა გაქვს, უფრო მეტად შეაშინო და მთლიანად თუ არა, მეტი წილი ანგელოზებს მაინც დაუფრთხო.

უთუოდ შუბლში უნდა მოარტყა, პირისპირ დუელში, რომ მართლმსაჯულებისთვის ადვილი გასარკვევი იყოს, რამდენად მართალი იყავი ამ ორთაბრძოლაში.

მაგრამ თუკი შენ, რევოლვერით შეიარაღებულს, ორნი დაგეცნენ ავტომატებით? მაშინ რას შვრები? მოასწრებ კი ორივეს ერთდროულად მისცხო შუბლში? ერთს მისცხებ, მეორე შენ მოგცხებს და ამით დასრულდება კიდევაც შენი თავდაცვისუნარიანობა.

მაგრამ გულს ნუ გაიტეხ. იარაღი მაინც იმედია. მთავარია, მას ჯეროვნად დაეუფლო. რასაკვირველია, იმათ, ვისაც ჩვილი გული აქვს, ვისაც, თავის დღეში ქათამიც არ დაუკლავს, ბანდიტთან დუელი ძალიან გაუჭირდება.

ისე, კი, ჩემი აზრით, (რომელსაც თავს არავის ვახვევ!) ამ მასობრივ შეიარაღებას დასჭირდება მცირე ზომის საწვრთნელ-სავარჯიშო პოლიგონები, სასროლეთების მოწყობა. გამოუცდელი კაცი სადღაც ხომ უნდა გაწვრთნას! ქალაქების მიკრორაიონებში უნდა შეიქმნას სათანადო ინვენტარით აღჭურვილი, ბანდიტების, ქურდებისა და ავაზაკების ფიტულებით გაწყობილი სასროლეთები.

მოქალაქეთა წვრთნა აუცილებელია, ამასთან, იარაღის საიმედო შენახვაც — ბავშვებმა ხელი არ წაატანონ!

ბავშვებმა გამახსენა: დღეს სათამაშო პისტოლეტის ფასი ლამის ათას მანეთს უკაკუნებს. რა ეღირება ნამდვილი? ალბათ, ათეული ათასები. რა თანხა უნდა შეაგროვოს კაცმა, რომ ფასების გიჟურ რბოლას დაეწიოს? სანამ საჭირო თანხას დააგროვებს, ისევ ის ავაზაკი დაასწრებს, ერთის ნაცვლად ათ რევოლვერს, ამდენივე ყუმბარას და ავტომატს შეიძენს... იარაღიც დეფიციტი გახდება, შავი ბაზარი ამითიც გაიხარებს, აყვავდება და გაიფურჩქნება მავანი და მავანი...

მაგრამ მაინც საჭიროა რევოლვერი! ცხრაპირ ტყავში უნდა გამძვრე და მაინც იყიდო! საჭიროა, საჭირო, რომ შენს კარზე მომდგარი ბანდიტი შიშით დაიზაფროს!..

მაგრამ თუ ერთ მშვენიერ დღეს ქურდი მძინარეს დაგადგა ლოგინში და იარაღის შესაძენად ნაგროვები ფული წაგართვა? მაშინ რაღას მიახლი შუბლში ან კეფაში?! არა, კეფაში არა, შუბლში?!.

...თუმცა, რისი დამგროვებელი ვარ ჩემი მათხოვრული პენსიით!

15 თებერვლიდან მუშაობა დაიწყო რესტორანმა „ეკრანმა" ახალი რეჟიმით და ასორტიმენტით.

მენიუშია: ქაბაბი, ხინკალი, სხვადასხვა სახის ეროვნული კერძები და, რაც მთავარია,

ხარმაცების ხაში

რესტორანი „ეკრანი" მდებარეობს რუსთაველის გამზირზე და ღიაა 9-დან 16 საათამდე.

მთავარი რედაქტორი ზურამ ზოზიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434